ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 15 აპრილი, №7 (6492)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

„მადლობა თავისუფლებისათვის“ 9 აპრილი – დღე მწუხარეგის და დღე დამოუკიდებლობის

„მადლობა თავისუფლებისათვის“ – ამ სლოგანით გაიხსენეს საქართველოში 30 წლის წინათ განვითარებული ტრაგიკული მოვლენები.

9 აპრილისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა მთელი ქვეყანა მოიცვა.

ქ. ყვარელში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ჭავჭავაძიანთ საგვარეულო ტაძარში 9 აპრილს გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდა. 9 აპრილის სახელობის სკვერში გაიმართა ღონისძიება.

ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის სპეციალისტმა ლევან ბალიაურმა 9 აპრილის თემაზე ისაუბრა.

ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა – „ხეურომ“ (ხელმძღვანელი ირაკლი მათიკაშვილი), „მელოდიამ“ (ხელმძღვანელი მედეა გეგეჭკორი), „ანაბანამ“ (ხელმძღვანელი მაია მამულაშვილი) შეასრულეს პატრიოტულ თემაზე შექმნილი სიმღერები.

1989 წლის 9 აპრილი – საქართველოს უახლოესი ისტორიის უმძიმესი დღე და თარიღი, რომელმაც ქვენის მომავალი შეცვალა.

9 აპრილს ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიმდინარე მშვიდობიანი აქცია საბჭოთა შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების რაზმმა სასტიკი მეთოდებით დაარბია. რუსთაველის გამზირზე მაშინდელი მთავრობის სახლის წინ მდგომ მშვიდობიან დემონსტრანტებს საბჭოთა რეჟიმი რკინის ნიჩბებით, ხელკეტებით და ტანკებით გაუსწორდა. გამოიყენეს ამ დრომდე დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებაც. დაიღუპა 21, დაიჭრა, მოინამლა და დაშავდა ასეულობით ადამიანი.

9 აპრილს ქვეყნისათვის ორმაგი დატვირთვა აქვს. იდეა, რომელმაც ათასობით ადამიანი გააერთიანა, ორი წლის შემდეგ რეალობად იქცა. 1991 წლის 9 აპრილს ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ერთი დღე ორი დიდი ისტორიული კონტექსტით: 9 აპრილს პატივს მივაგებთ სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას და ამავე დროს, ვზეიმობთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ანუკი მოსულიშვილმა წაიკითხა იზოლდა იოსებიანის ლექსი „სამშობლო“, მარი სეფაშვილმა თინათინ მღვდლიშვილის ლექსი „აღმაშენებელი ქალაქს მობრძანდა“.

მარი ხარებაშვილმა შეასრულა სიმღერა „მრავალჟამიერი“.

ღონისძიებას უძღვებიდა ყვარლის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, პოეტი იზოლდა იოსებიანი.

9 აპრილის ღონისძიებას ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ხელმძღვანელები, სამსახურების უფროსები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ამავე დღეს ანალოგიური ღონისძიება გაიმართა ჭიკაანში და გავაზში. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ქევხიშვილმა და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა 9 აპრილის მემორიალური დაფები გვირგვინებით შეამკეს.

ალეკო ძაფიანიძე

14 აპრილი - დედაენის დღეა



დედა ენის დღე 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან დაწესდა.

1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა; სსრკ-ის სახელმწიფო ენად რჩებოდა მხოლოდ რუსული ენა.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული.

ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ აღუდგა მთელი საქართველოს მოსახლეობა. თბილისში მოეწყო მასობრივი გამოსვლები და მსვლელობა თსუ-დან უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ. ვითარება ხელისუფლებისათვის უმართავი ხდებოდა, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე ხალხთან გამოვიდა უმაღლესი საბჭოს შენობის წინ ვითარების განსამუხტად და მათ დასაშოშმინებლად.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ მხოლოდ ორი გამოსავალი იყო — სისხლისღვრა ან დათმობა და მოსკოვი იძულებული შეიქმნა დაეთმო. ამ მოვლენების გამო 14 აპრილი არაოფიციალურად დედაენის დღედ გამოცხადდა.

„დედა ენა” ყოველი ჩვენგანის პირველი წიგნია.

„უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“, – წერდა ილია ჭავჭავაძე.იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დედა ენის შექმნას.

მე–19 საუკუნე, რუსეთის იმპერიის რეფორმები და რეპრესიები, ერთადერთი მიზნით ქართული გენისა და თვითშეგნების გადაგვარებისთვის. სკოლებში ქართული ენის ხსენებაც კი აიკრძალა, არისტოკრატია ქართულად ხმის ამოღებას ერიდებოდა, ეგრეთწოდებული ინტელიგენცია კი რუსულად აზროვნებდა. ქართული ენის შესასწავლად მხოლოდ ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას ვინღა დაგიდევდათ.

მოწინავე ახალგაზრდობამ რუსეთის გეგმებს მამული, ენისა და სარწმუნოების მცნება დაუპირისპირა. ღვთის წყალობა იყო ალბათ ამდენი სახელგანთმული საზოგადო მოღვაწე, რომელთაც ქართველობის თვითმყოფადობის შენარჩუნება–გაძლიერებას დაუდეს სადავე.

„ჩამოვიტანე ავი ჭაობის ციება; მაგრამ თანაც ჩამოვაცოცე ვეებერთელა რვეული, გაჭიკნილი ხალხური ზღაპრებით, არაკებით, ლექსებით და შევუდეგ „დედაენის” შედგენასა და გამოცემასა” - ასე აღწერს იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნის მომზადების პროცესს. წიგნის, რომელიც დღეს კიდევ უფრო თანამედროვე და აქტუალურია.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

გვაქვს ბევრი გამოწვევა, რომელთაც შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვაწესრიგებთ

სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მიზნით სისტემატური სამუშაოები ხორციელდება ყვარლის მუნიციპალიტეტში, მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ საკმაოდ გადასაწყვეტია. ამასთან დაკავშირებით საუბარი ვთხოვეთ ყვარლის აიპ წყალმომარაგების სამსახურის უფროსს, ბატონ ლევან მამულაშვილს.

– ბატონო ლევან, დიდი ხანი არ არის, რაც თქვენი აიპი ჩამოყალიბდა და დაევალა სოფლების სასმელი წლით უზრუნველყოფა. რას გვეტყოდით იქ არსებულ მდგომარეობაზე, იღებს კი იქ მცხოვრები მოსახლეობა ხარისხიან წყალს? თუ ხდება ყოველდღიურად წყლის დაქლორვა?

– თქვენს შეკითხვაზე მოსახლეობის ხარისხიანი წყლით მომარაგების შესახებ, გეტყვით, რომ გარკვეული პერიოდის შუალედით, ისევე როგორც ჩვენი სამსახური, სურსათის უვნებლობის სამსახურიც, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან აღებულ წყლის სინჯს ვამოწმებთ ლაბორატორიაში. თუ წყლის შემადგენლობა, სისუფთავე არსებულ სტანდარტებს არ შეესაბამება, ვიღებთ შესაბამის ზომებს და გამწმენდ სამუშაოებს ვახორციელებთ.

– რა პირობებში ჩაიბარეთ წყალსადენი და რა გაკეთდა თქვენი მისვლის შემდეგ?

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

თარიღი, რომლის შემდგომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ შეუქცევადი პროცესის სახე მიიღო

9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ორ მნიშვნელოვან მოვლენას აერთიანებს – 1989 წლის ტრაგედიასა და დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წელს. რუსული ჯარის მიერ თბილისში 21 ადამიანის მოკვლამ საყოველთაო დაუმორჩილებლობა გამოიწვია, რაც საბოლოოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

მოვლენები, რომელიც წინ უძღოდა 9 აპრილის ტრაგედიას

9 აპრილის ტრაგედიამდე 3 კვირით ადრე აფხაზეთში ე.წ. ლიხნის ასამბლეა ჩატარდა, რომელზეც საქართველოს აფხაზი მოსახლეობის ნაწილმა საქართველოსგან გამოყოფა და რესპუბლიკის სტატუსი მოითხოვა.

ამერიკის შეერთებული შტატების საარქივო დოკუმენტებში, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (II) გამოითხოვა, წერია, რომ 1989 წლის 15 მარტს აფხაზეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ბორის ადლეიბამ ხელი მოაწერა პეტიციას საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს სახელზე, რომელიც აფხაზეთისთვის საკავშირო რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, ან მოსკოვის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადასვლას მოითხოვდა.

აფხაზეთში სეპარატისტული განწყობების გაძლიერების პარალელურად, სეპარატიზმისა და მოსკოვის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ მშვიდობიანი აქციები დაიწყო. 4 აპრილს, მთავრობის სახლის წინ ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა, მათ დაიწყეს შიმშილობა, მეორე დღეს მათი რაოდენობა უფრო გაიზარდა.

5 აპრილს თბილისი პარალიზებული იყო. გაიფიცნენ მუშები, დაიხურა სასწავლო დაწესებულებები. ქართულ მედიას იმ დღეს მიმდინარე აქციები არ გაუშუქებია. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ სიტუაციაზე კონტროლი დაკარგა.

აშშ-ს სახელმწიფო არქივის ერთ-ერთი დოკუმენტის (1989 წლის 7 აპრილი) მიხედვით, 6 აპრილს საოლქო კომიტეტმა თანამდებობიდან გადააყენა აფხაზეთის პირველი მდივანი ადლეიბა, აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების მოთხოვნის გამო, რასაც 7 აპრილს აფხაზეთში მისი მხარდამჭერი აქცია მოჰყვა. აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია დემონსტრაციის ქართველ ლიდერებს შორის შეუთანხმებლობაზე. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და „რუსთაველის საზოგადოების“ ლიდერები მიიჩნევდნენ, რომ აქციის დროს პროტესტის მთავარი თემა უნდა ყოფილიყო აფხაზეთის საკითხი, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ კონცენტრირება მომხდარიყო ერთ, საქართველოს სსრკ-დან გამოსვლის მოთხოვნაზე.

9 აპრილის სადამსჯელო ოპერაცია

7 აპრილს საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა მოსკოვში, საბჭოთა ხელმძღვანელობას წესრიგის აღსადგენად დამხმარე ძალების გამოგზავნა სთხოვა. იმავე დღეს პერმიდან და ვორონეჟიდან თბილისში შემოვიდნენ საგანგებო დანიშნულების მილიციის რაზმები. 8 აპრილს, აშშ-ს საიდუმლო სამსახურების სახელზე გაგზავნილ დაშიფრულ ცნობაში წერია, რომ საქართველოში არსებობს ეთნიკური კონფლიქტის საფრთხე. დოკუმენტში პარალელია გავლებული მთიანი ყარაბაღის გარშემო დაწყებულ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტთან.

9 აპრილს, 11 საათზე, თბილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა. ამის შესახებ ცნობა მოსახლეობამ 22 საათსა და 15 წუთზე მიიღო. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა საბჭოთა არმიის გენერალი იგორ როდიონოვი. სწორედ ის იყო 9 აპრილის სადამსჯელო ოპერაციის ხელმძღვანელი.

9 აპრილს, გამთენიისას, რუსულმა არმიამ რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მშვიდობიანი აქციის დაშლა დაიწყო. აქციის დარბევისას საბჭოთა ჯარმა გამოიყენა მომწამვლავი ქიმიური საშუალებები, ცეცხლსასროლი იარაღი, სასანგრე ბარები, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები. იმ ღამის დარბევას 20 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ერთი მოქალაქე კომენდანტის საათის დროს მოკლეს რუსმა ჯარისკაცებმა.

ამ დღეს ასობით ადამიანი დასახიჩრდა, დემონსტრანტების დიდი ნაწილი მოიწამლა. უცნობია დაზარალებულების ზუსტი რიცხვი და ასევე, რა ზიანი მიადგა მათ ჯანმრთელობას.

როგორ იხსენებენ სისხლიან დარბევას თვითმხილველები

შოთა ჟვანია, დაზარალებული: „რუსი ჯარისკაცები ქალებსა და ბავშვებს ურტყამდნენ ნიჩბებს თავში, კაცებს რომ ვერ მოერივნენ. სისხლის გუბეში ვიდექი და ვერ ვშველოდი მათ იმიტომ, რომ ოთხი რუსი ჯარისკაცი ცემით მიმათრევდა სადღაც. თავის დაღწევა მოვახერხე და ოთხი კილომეტრი ფეხშიშველმა ვირბინე სახლამდე“.

გელა არაბული, დაზარალებული: „როდესაც ლენინის მოედნიდან (მაშინდელი) ჯავშან-ტრანსპორტიორები წამოვიდნენ, მთავრობის სასახლის მარჯვენა მხარეს, კიბეზე ვიდექი. ჯარისკაცები მოდიოდნენ ფარებით, ნიჩბებით და ხელკეტებით. ხალხი წყნარად იჯდა, არავინ არაფერს აშავებდა, არავინ დგებოდა, ხმას არავის სცემდა. დაახლოებით, ხუთი წუთი იდგნენ ჯარისკაცები. უცბად დაიწყეს ხალხის ცემა. მალე მათ ჩიტაძის ქუჩიდან ჩამოეშველნენ სხვა ჯარისკაცები“.

სოსო პაიჭაძე: „ცხრა აპრილს, სისხამ დილით გავედი მთავრობის სახლთან. შემზარავი სანახაობა გადამეშალა თვალწინ: კიბეებზე, ქვაფენილზე, ქუჩებზე, მარადმწვანე ბუჩქებზე, ყველგან და ყველაფერზე, რასაც მზერა სწვდებოდა, მიმოფანტულიყო ტანსაცმლის ნაგლეჯები, ფეხსაცმელები, ძირითადად ქალის, ქუდები, ქაღალდის ნაკუწები, ერთმანეთში არეული, ალუფხული ხელჩანთები, ხელჩანთებიდან წამოყრილი სავარცხლები, პატარა სარკეები, ცხვირსახოცები; თავსაფრები, გაზეთების ნაფლეთები, დანაკუწებული ქურთუკები, პარფიუმერიის ნამსხვრევები, ნაირგვანი ფერის ქსოვილის ნახევები, ბიუუტერია. ასფალტზე ჯერ კიდევ ჩანდა ჯავშნიანი მანქანების მუხლუხების კვალი, ქვაფენილზე კი შემზარავად მბზინავი სისხლის ლაქები“.

დამოუკიდებლობის აღდგენა

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, დამოუკიდებლობის აღდგენამ შეუქცევადი პროცესის სახე მიიღო. 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ერთიანი საქართველოს მასშტაბით ჩაატარა რეფერენდუმი, სადა საქართველოს მოსახლეობას ერთადერთი კითხვა დაუსვეს: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად?“

რეფერენდუმში მოსახლეობის 100 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, მათგან 98%-მა დამოუკიდებლობა აირჩია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ჯერ კიდევ საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებნი.

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

14 აპრილი - დედაენის დღეა

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

არსებობს ლეგენდა. იაკობ გოგებაშვილს დიდხანს უფიქრია, როგორი უნდა ყოფილიყო წიგნი, რომლითაც ბავშვი ცოდნის სამყაროს ეზიარებოდა. ადრე გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მწერალი მდელოზე იჯდა და ფიქრს მისცემოდა, პატარა გოგონას ხმა გაუგონია, რომელიც მისკენ ყვავილით ხელში მირბოდა: – „აი ია, ძია იაკობ, აი იაო“, – იძახდა გოგონა .

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებს დაეთმო. ავტორი თითოეულ სიტყვას, ყმაწვილთათვის შესათავაზებელ მოთხრობასა თუ ლექსში, სათუთად აზუსტებდა, ხვეწდა მეთოდურ ნიუანსებს, რომ მარტივიდან რთულისკენ სვლა ბუნებრივი, სასურველი და სახალისო ყოფილიყო. თითოეული ასოს მოხაზულობა საყოველთაო განხილვის საგანი იყო და ყოველი სიახლე უძველეს ქართულ მწიგნობრულ გამოცდილებას ეფუძნებოდა. „დედა ენა“ ერთ-ერთი რჩეული საგანძურია ქართველი ერისათვის. „დედა ენის” არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე – ერის სიცოცხლეს.

„დედა ენის“ წარმატება და პოპულარიზაცია განაპირობა წიგნში ჩადებულმა მაღალმა დიდაქტიკურ-მეთოდიკურმა პრინციპებმა, რომელიც გამსჭვალულია ხალხურობის სულისკვეთებით. „დედა ენაში” ჩადებულია ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელიც,

მოგვიანებით, დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიაში“ ჩამოყალიბდა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იაკობი ბავშვებში შეუცნობელის შეცნობის წყურვილს აღვივებდა და ქართული ანბანის შესასწავლად განაწყობდა.

1906 წლიდან „დედა ენა“ 2 წიგნად გამოვიდა: პირველში მოთავსებულია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში — საყმაწვილო მხატვრული თხზულებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული სტატიები. წიგნი სრულყოფილად ითვალისწინებდა პატარების ცნობისმოყვარეობას, ხასიათს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაჩინოებას და ცნობადიდან უცნობისკენ შეგნებულ სვლას. და მაინც როგორ შეიქმნა „დედა ენა“? როგორც თავად იაკობი ამბობს: „დიდი სიხარულით მივეცით პირველი ადგილი სიტყვას „ია“ თავი სურათით. რადა? იმიტომ , რომ ანბანის სწავლის დაწყებისათვის მეტად მოხერხებული სიტყვაა და ბევრი ღირსება აქვს. პირველი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს სიტყვა შედგება ორის ხმოვნის ასოსაგან, რომელიც გამოსათქმელად ადვილნი არიან, დასაწერად არა ძნელნი და შემდეგი გაკვეთილებისათვისაც ფრიად საჭირონი, რადგანაც ამ ასოების შემწეობით ადვილად სდგება სიტყვები და ფრაზები და უამათოდ კი მათი შედგენა შეუძლებელი იქნებოდა, მეორე ღირსება ის არის, რომ მარტო ამ ორის ასოების შემწეობით ადვილად სდგება ორი სიტყვა და მათგან ფრაზა. ამის გამო ბავშვი პირველსავე გაკვეთილიდან სწავლობს არა მარტო ორ ხმასა და ასოსა, არამედ მაშინვე ჰკითხულობს სიტყვებს და ფრაზას, ამ ასოებისგან შემდგრას. ამის გამო ეს უძვირფასესი რამ არის ანბანის დაწყებისათვის. ბევრი ენა მოკლებულია ამ გვარს მოხერხებულ სიტყვას“.

ქართული ენა

ქართული ენა,
ერის გულის
გასაღებია.
ქართული ენა,
ჩვენი გრძნობის
და სიცოცხლის
თანამდებია.
ქართული ენა,
სულის სულთან
შენამღერია.
ქართული ენა,
ერის ყოფნის
გადამრჩენია.
ქართული ენა,
უკვდავია
და ცოცხალია.
ქართული ენა,
წარსული და
მომავალია.
ქართული ენა,
სულის ფრენა
და სიმაღლეა.
ქართული ენა,
სინათლეა
სიყვარულია.
ქართული ენა,
უფლისაგან
საჩუქარია
ქართული ენა,
ქართველისთვის
დედის გულია.
...და ჰე, ქართველნო,
მოფრთხილება
ჩვენი ვალია!

მანანა შატავიძე

უკვე სამი ათეული წელია, საქართველოში „დედაენის დღე” აღინიშნება. ამ თარიღის დაწესებას თავისი ისტორია აქვს. კერძოდ, 1978 წლის 14 აპრილს, საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. საპროტესტო აქციებზე გამოსული ათიათასობით ადამიანი, ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას მოითხოვდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, ქართული ენა გამოცხადდა. ასე დამკვიდრდა „დედაენის დღეც“.

განსაკუთრებულად აღსანიშნავი ფაქტია, რომ წიგნს, ძეგლი პირველად საქართველოში დაუდგეს.. ქართველმა მოქანდაკეებმა ძეგლი, მწერლისა და პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილ წიგნს – დედა ენას მიუძღვნეს. ძეგლზე გამოსახულია ცოდნის წყურვილით ზეციისკენ ხელებაპყრობილი ყმაწვილი, რომელიც ეს ესაა ზარს შემოკრავს.

დღევანდელ სკოლებში გოგებაშვილისეული „დედა ენა” თითქმის აღარ ისწავლება. თანამედროვე სახელმძღვანელო მხოლოდ წერა-კითხვის სწავლებას ითვალისწინებს. არადა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თაობების აღზრდა გოგებაშვილის „დედა ენის” პრინციპებით.

პროფესორი უშანგი ობოლაძე წერს: „დედა ენა” იყო უშრეტი სალარო საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ხალხის უთვალავ თაობათა მიერ შემუშავებული სიბრძნისა, მაცნე და მოძღვარი ხალხის სულიერი სიმდიდრისა, უხვი წყარო ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, მართალი აზრისა, პატიოსნებისა, შრომისა და გარჯისა. ეს იყო წიგნი დედაბუნების სიკეთეზე, მადლიან დედაშვილობაზე, ადამიანთა შორის გულითად სიამტკბილობასა და მშვიდობაზე”. „დედა ენა” ოდითგანვე იყო ეროვნული თვითშეგნების მადლიანი აღმზრდელი, სულიერი განვითარების უშრეტი წყარო. მისი ამაგი ფასდაუდებელია. ამიტომ ვერც ერთი სახელმძღვანელო ვერ შეცვლის გოგებაშვილის „დედა ენას“.

მოამზადა ია გიგიაშვილმა

გვაქვს ბევრი გამოწვევა, რომელთაც შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვაწესრიგებთ

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

– ჩემი სამსახურში მისვლისას, წყალსადენის სისტემა ნორმალურ, დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში დამხვდა. შევინარჩუნეთ ხარისხი და ვაგრძელებთ მუშაობას ასევე სამომავლო გეგმებზე, რათა ბევრად გაუმჯობესდეს წყლის სისტემის არსებული მდგომარეობა.

– ლაბორატორიულად თუ ხდება წყლის სინჯების შემოწმება?

– როგორც აღვნიშნე, კონკრეტულად სურსათის უვნებლობის სამსახური, ასევე ჩვენც, ზამთრის პერიოდში 3-4 დღეში ერთხელ ვამოწმებთ წყლის სინჯს ლაბორატორიაში, ხოლო ზაფხულში ყოველდღიურად. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მივმართავთ შესაბამის ღონისძიებებს პრობლემის დროულად აღმოსაფხვრელად.

– როგორც გავიგეთ, აპირებთ ჭაბურღილის განახლებას, რომელიც ძველი საავადმყოფოს ეზოშია განთავსებული. რას გვეტყოდით ამის შესახებ? რომელი ქუჩების მცხოვრებლებს ექნებათ მუდმივად წყალი?

– რაც შეეხება ჭაბურღილებს, ჩვენ დავასრულეთ „ზაუტაშვილების“ უბანში ჭაბურღილის გაკეთება, რითაც დიდი პრობლემა მოეხსნა ყვარლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილთან დაკავშირებით, მალე დასრულდება მისი აღდგენის სამუშაოები და მოსახლეობის დიდი ნაწილი ისარგებლებს აღნიშნული ჭაბურღილიდან წყლის მიწოდებით.

– რამდენ ოჯახს მოემსახურებით და რა ფორმით მოხდება გამრიცხველიანება, – ვინ გაიღებს ხარჯებს, – მოსახლეობა თუ მთავრობა?

– მოსახლეობის გამრიცხველიანების ხარჯებს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლება გაიღებს და მოხდება საკმაოდ ბევრი ოჯახის გამრიხცველიანება.

– თქვენს სამომავლო გეგმებში რას უნდა ველოდოთ ახალს?

– ამ ეტაპზე ძალიან დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფელში. მაგალითისათვის გეტყვით, რომ ენისელში დამთავრების სტადიაშია სასმელი წყლის რეზერვუარამდე ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა-გამრიცხველიანების სამუშაოები, ხოლო შილდაში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის განახლება, მაგისტრალის ძველი ქსელის შეცვლა და გამრიცხველიანება მიმდინარეობს. სოფელ საბუეში კი სასმელი წყლის ქსელის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება. გვაქვს ბევრი გამოწვევა, რომელთაც შესაძლებლობებიდან გამომდინარე,მოვაწესრიგებთ.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

როგორ აღვნიშნავთ აღდგომას

აღდგომას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულად ზეიმობდნენ. საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეფის კარის სააღდგომო სამზადისზე ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთაობა. მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობთა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ – გალობანი. ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობთა ცემანი“.

ჩვეულებრივი მოკვდავნი აღდგომას შედარებით მოკრძალებულად აღნიშნავდნენ. სადღესასწაულო სუფრას ამშვენებდა მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, წითელი კვერცხები, ქადა, ხაჭაპური, შოთის პური, ყველი, მწვანილი, მწნილი, ხილი და რასაკვირველია, წითელი ღვინო.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელს სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილით და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ღელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ – ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ სამეგრელოში. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.

აღდგომა ევროპაში

აღდგომა ევროპაშიც განსაკუთრებული მოვლენაა. მის განუყრელ ატრიბუტად დიდი ხანია იქცა კურდღელი, რომელსაც სააღდგომო კვერცხები მოაქვს. ეს ტრადიცია ყველაზე მეტად გერმანიაშია პოპულარული, სადაც სადღესასწაულოდ უამრავ შოკოლადის კურდღელსა და კვერცხს ამზადებენ. ქუჩებში დადიან ამ ცხოველის ფორმაში გამოწყობილი ადამიანები, რომელთაც კალათებში შოკოლადის კვერცხები უწყვიათ. სააღდგომო კურდღლის სიმბოლიკას სხვადასხვა ახსნა აქვს. ერთ-ერთი ვერსიით, იგი კავშირშია გაზაფხულის ქალღმერთ ოსტრე –სთან, რომლის ატრიბუტებსაც წარმოადგენს კვერცხი და კურდღელი. საგულისხმოა, რომ გერმანულად აღდგომას სტერნ-ი ჰქვია. დღესასწაულს გერმანელები ოჯახურ გარემოში აღნიშნავენ. საზეიმო სადილის შემდეგ ბავშვები ეძებენ საჩუქრებს, რომლებიც სააღდგომო კურდღლმა დაუმალა, დღის მეორე ნახევარში კი სტუმრად მიდიან ან თავად იღებენ მეგობრებსა და ნათესავებს.

ავსტრალიაშიც შოკოლადის ან შაქრის კვერცხებს ამზადებენ, რომელთაც კურდღლის ან გადაშენების პირას მისული ავსტრალიური ცხოველის, ბილბის ფორმა აქვს. მათი სააღდგომო მენიუ ცხვრის, შემწვარი ღორის ან ქათმისგან შედგება. გარნირად კარტოფილის, გოგრის, ლობიოსა და ბარდის კერძებს მიირთმევენ. დესერტად აქვთ ტრადიციული ავსტრალიური სააღდგომო ტკბილეული – ხილით გაფორმებული ბეზეს ტორტი. ძალიან პოპულარულია ტკბილი ცხელი ფუნთუშები, რომელსაც ეკლესიიდან დაბრუნების შემდეგ შეექცევიან.

სააღდგომოდ შვედები სახლებს ყვავილებით რთავენ, კუთხეებში კი ფერადი ბუმბულით გაფორებულ ყვითელ წინილებს დგამენ. სააღდგომო კვერცხს მუყაოსგან ამზადებენ, რომელშიც კანფეტებია ჩალაგებული. სადღესასწაულო სუფრა საშობაო სუფრის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჭარბობს ტკბილეული.

პოლონეთში კვერცხებს სხვადასხვაფრად ღებავენ, ამზადებენ ხაჭოს პასკებს, რომელთაც ნუშით, ცუკატებით და ხმელი ხილით აფორმებენ. სადღესასწაულო მენიუშია ასევე სააღდგომო ტორტი, რომელიც 3-4 დღით ადრე ცხვება. მისი ცომი ძალიან ფხვიერია და კრემით გასაჟღენთად დიდი დრო სჭირდება. ამბობენ, რომ ძალიან გემრიელია.

იტალიელები სააღდგომოდ იტალიურ კულიჩს, პანეტონეს აცხობენ, რომელსაც ქიშმიშითა და გამხმარი ხილით რთავენ. ეს ნუგბარი სუფრაზე დაჭრილი მიაქვთ და იტალიურ ღვინოებთან, შპუმანტე-სა და ოსცატო-სთან ერთად მიირთმევენ.

ბულგარეთში დიდ სააღდგომო კულიჩს გარშემო სხვადასხვაფრად შეღებილ კვერცხებს ულაგებენ და მოგვიანებით მათი მიჭახუნებით ირთობენ თავს.

ამერიკელები აღდგომის დღეს აუცილებლად ესწრებიან სადღესასწაულო მსახურებას, შემდეგ კი სუფრასთან ინაცვლებენ. ტრადიციული სააღდგომო მენიუ ასეთია: ღორი ანანასითა და კარტოფილით, ხილისა და ბოსტნეულის სალათით. სააღდგომო კურდღელს ბავშვებისთვის საჩუქრებიც მოაქვს, ძირითადად, კვერცხის, შოკოლადისა და კანფეტების სახით.

ესეც ჩვენი სააღდგომო მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო. როგორც ხედავთ, დღესასწაული ყველგან დღესასწაულია. არა აქვს მნიშვნელობა, რა რაოდენობის კერძი დევს სუფრაზე, მთავარია, საზეიმო განწყობა, რასაც, დამეთანხმებით, ამ დღეებში წითელი კვერცხი და პასკა ქმნის. ჰოდა, ახლა მათ შესახებაც მოგიყვებით.

წითელი კვერცხი

წითელი კვერცხი სააღდგომო სუფრის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია, რომელსაც ვნების პარასკევს ღებავენ, ნიშნად ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსახსნელად დაღვრილი სისხლისა. გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა. ტიბერიუსმა უპასუხა, მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის შეღებვა ტრადიციად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფხვნილი არსებობს, კვერცხის შეღებვის ყველაზე ნაცად და გამართლებულ საშუალებად დღემდე ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. გარდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთაა, ენდრო კვერცხს განსაკუთრებულ გემოს და არომატსაც ანიჭებს. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ენდროთი შეღებილი სააღდგომო კვერცხი გამორჩეულად გემრიელია და დიდი ხნის განმავლობაში არ ფუჭდება.

სააღდგომო კვერცხის მოხატვა უამრავი ადამიანის ჰობი გახდა, თუმცა, ცნობილი იუველირის, ფაბერჟეს ქმნილებებს ბადალი დღემდე არა ყავს. მის მიერ დამზადებული ულამაზესი დეკორატიული კვერცხები სპეციალურ ყუთებში ინახებოდა და საჩვენებლად მხოლოდ აღდგომის დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ფაბერჟე ასლს არასოდეს აკეთებდა. სწორედ ამიტომაა მისი თითოეული ნამუშევარი უნიკალური. ცნობილი იუველირის 47 კვერცხი დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში ინახება.

სააღდგომო პასკა

სააღდგომო სუფრის კიდევ ერთი ატრიბუტია პასკა, რომელსაც ქრისტიანები მაცხოვრის აღდგომის რწმენის ნიშნად აცხობენ. სიმბოლურად იგი გოლგოთას აღნიშნავს, მთას, სადაც ანამეს და ჯვარს აცვეს ქრისტე. სააღდგომო პასკა ფორმით არტოსს წააგავს, სადღესასწაულო პურს, რომელსაც ეკლესიაში აღდგომის დღეებში არიგებენ, თუმცა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ ტკბილი და ნოყიერია. სააღდგომო პასკაში აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ქიშმიში, სანელებლები და ცხიმი – ეს არის იმ დიდი დღესასწაულის ხორციელი გამოხატულება, რასაც კაცობრიობა აღდგომის ბრწყინვალე დღეებში განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პასკის შეძენა ბევრგან შეიძლება, შინ გამომცხვარს სულ სხვა გემო და ხიბლი აქვს. პროცესი საკმაოდ შრომატევადია, თუმცა, დღესასწაულის განცდას ამძაფრებს. შედეგი კი იმდენად სასიამოვნოა, წვალებად ნამდვილად ღირს.

ხაჭოს პასკა

სააღდგომო სუფრის კიდევ ერთი ატრიბუტია ხაჭოს პასკა, რომელიც რუსეთსა და პოლონეთშია გავრცელებული. იმას, რასაც ჩვენ პასკას ვუწოდებთ, იქ კულიჩი ჰქვია, პასკას კი ხაჭოს ნუგბარს ეძახიან, რომელსაც გამოცხობა არ სჭირდება და სხვადასხვა ინგრედიენტის შერევით მზადდება. საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული, თუმცა, ბოლო წლებში ჩვენთანაც დაიწყეს მისი მომზადება. ხაჭოს პასკა ძალიან გემრიელი და ნოყიერია, შრომაც ნაკლები სჭირდება, თუმცა, თავისი საიდუმლოებები მასაც აქვს. თავდაპირველად რამდენიმე რეცეპტს შემოგთავაზებთ, შემდეგ კი იმ დეტალებსაც გაგიმხელთ, რომელიც ამ ნუგბარის სწორად მომზადებაში დაგეხმარებათ.

ხაჭოს პასკა შესქელებული რძით

მასალა: 1, 25 კგ ხაჭო, 300გ კარაქი, 250 გ არაჟანი, 400 გ შესქელებული რძე, 1/2 ჭ შაქარი, 1ჭ ქიშმიში, ცოტა ვანილი

ხაჭო გავხეხოთ საცერში, დავუმატოთ საცერშივე გაქნილი კარაქი და შაქარი. ეს ყველაფერი კარგად დავსრისოთ, დავუმატოთ არაჟანი, შესქელებული რძე, ვანილი და წინასწარ გარეცხილ-გამშრალებული ქიშმიში. ეს მასა კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ ავზილოთ, ჩავდოთ დოლბანდჩაფენილ ფორმაში, დავადოთ წნეხი (რაიმე მძიმე საგანი) და რამდენიმე საათით დავდოთ მაცივარში.

ხაჭოს პასკა

1კგ ხაჭო გავატაროთ საცერში (შეიძლება 2-3-ჯერ ხორცსაკეპში გატარებაც). ცალკე გავაკეთოთ გოგლი-მოგლი 3 კვერცხის გულისა და 100 გ შაქრისგან, რომელიც ორთქლზე უნდა გაითვიფოს. გატარებულ ხაჭოს დავამატოთ სხვადასხვა ხილის ჩირი, ქიშმიში, ვანილი, გოგლი-მოგლი, 100 გ არაჟანი და 100 გ დარბილებული კარაქი, კარგად ავურიოთ და ჩავდოთ სპეციალურ ფორმაში, რომელშიც დოლბანდი იქნება ჩაფენილი. ვაცადოთ დაწრეტა და მთელი ღამის განმავლობაში შევდგათ მაცივარში.

პრაქტიკული რჩევები: ამ პასკისთვის უკეთესია მშრალი, ცხიმიანი ხაჭო. იმისთვის, რომ ხაჭოს პასკა ადვილად მოაშოროთ ყალიბს, დოლბანდი, რომელსაც ფორმაში ჩააფენთ, წინასწარ უნდა დასველოთ და გაწუროთ. თუ სპეციალური ყალიბი არ გაქვთ, ხაჭოს პასკის მოსამზადებლად ჩვეულებრივი საწურის ან ყვავილის ქოთნის გამოყენებაც შეგიძლიათ. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, მას ჰქონდეს პატარა ხვრელი, საიდანაც დაწრეტილი სითხე გამოვა.

და ბოლოს, მოვიდა დრო კიდევ ერთხელ გავიხსენოთ კლასიკური ქართული სააღდგომო სუფრა, ამ საქმის ოსტატები კი ხორცეულიდან ბატკნის ჩაქაფულს, მოხარშულ ხბოს ხორცსა და ცივად მოხარშულ დედალს გვირჩევენ თავისი ნორთავით (ჩანაყული ნივრისა და ნიგვზის საკმაზი). ცივი კერძებიდან კი თქვენს სუფრას გუდის ყველი, პრასის ფხალი, ქორფა მწვანილი, ახალი ბოლოკი და შოთის პური დაამშვენებს. წითელი კვერცხი, პასკა და კარგი წითელი ღვინო თავისთავად იგულისხმება. სადღეგრძელოებს კი რა დალევს ჩვენს ქვეყანაში.

ნანა კობაიძე

ბზობა-ბაიაობა საქართველოში

ბზობა იგივე ბაიაობა ათთორმეტ ქრისტიანულ დღესასწაულს განეკუთვნება. ბზობა მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის აღსანიშნავად იდღესასწაულება, როდესაც იესო ქრისტეს იერუსალიმში ხალხი პალმების რტოებით, ფეხქვეშ გაგებული სამოსითა და მადიდებელი შეძახილებით – ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა – შეეგება. იმ კუთხეებში თუ ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც პალმა არ ხარობს, ადგილობრივ დადგენილი ტრადიციის მიხედვით სადღესასწაულოდ ის მცენარე იხმარება, რომელიც გაზაფხულზე ამ დროს იქ ხარობს.

ბზობა-ბაიობა, როგორც ეს საეკლესიო კალენდრის მიხედვითაა დადგენილი, აღდგომის წინა კვირას მთელ საქართველოში იდღესასწაულება.

დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციების შესახებ გვესაუბრება ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

„სვანეთის ყველა სოფელში ბზობის საღამოს გოგონები უკაცრიელ სახლში იკრიბებოდნენ და მღეროდნენ ე.წ. ლიგლოვი – კრირიელოს (კირიე ელეისონს): „ქრისტე! მიუტევე ცოდვები ჩემ გარდაცვლილს (დაასახელებდნენ) და ყველა საქმეში წარმატებული ამყოფე ჩემი ნათესავი (დაასახელებდნენ) და ოჯახის წევრი (დაასახელებდნენ)“. თითოეული გოგონა ჩამოყვებოდა და მოიხსენიებდა თავის მიცვალებულებს და ცოცხლებს, დანარჩენები კი მასთან ერთად იმეორებდნენ. გარეშეს, ვისაც ლიგლოვაშში მისიანების მოხსენიება ენდომებოდა, როგორც ცოცხლების ასევე მიცვალებულების, მომღერლებისთვის კაკალი ან მარილის ნატეხი უნდა მიეცა, თითქოსდა იმის გამო, რომ მაცხოვარს მათი ლოცვები შეესმინა. გოგონები ვნების კვირაში, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ამ წესს სიმღერის გარეშე ასრულებდნენ. ხალხის რწმენით ამ დღეებში არ ვარგოდა სიმღერა.

სვანეთში ბზობის საღამოდან მთელი მომდევნო კვირის ანუ ვნების კვირის განმავლობაში ლიროკინალი ანუ ბოროტი ძალის განდევნა იწყებოდა. ბზობა საღამოს ყველა ოჯახის უფროსს ტყიდან ეკალი მოჰქონდა, რომლის ტოტებს კარის ქვეშ, ყველა ფანჯარასა და ნახვრეტში დებდა, რათა სახლში ბოროტი ძალა არ შესულიყო. ლიროკინალის წესი ამგვარად სრულდებოდა: ოჯახის უფროსი ხელში იღებდა პატარა ნაჯახს, დანარჩენი ბავშვები და მამაკაცები მუგუზალს და გამორბოდნენ გარეთ, თან იძახდნენ: „ფუი! უწმინდურო ძალაო, დაგეწვათ ფრთები! შეგიცნობთ და გამოგარჩევთ ისევე, როგორც შავ ცხვრებს თეთრებისაგან. თქვენ შესახებ ხსოვნა თორმეტი მთის იქით. წმინდა გიორგის ბეჭდით ხართ დაბეჭდილები; ლითონის იარაღით ხართ დაჭდევებულები. აიღეთ კბილებით ქვის ფილა, ჩვენთან კი ჯვრისა ძალაა! ქვიშისა და ქვის ფილის გარდა სხვა არავითარი საჭმელი არ გქონდეთ!“ ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ნაჯახის ყუას ურტყამდა ქვას და ამბობდა: „დაე აქციეთ ქვად თქვენი მომავალი!“ დანარჩენებიც იმავეს იმეორებდნენ და აკეთებდნენ. ბოროტი ძალების განდევნის ამ წესს ყველა ოჯახი ვნების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს ასრულებდა.

რაჭა-ლეჩხუმში ეს დღე უქმე იყო. მიდიოდნენ ეკლესიაში და იქიდან მოჰქონდათ ბზა. სახლში მოტანილ ბზას თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხლებზე დადებდნენ. თუ აბრიალდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბზის პატრონი დიდხანს იცოცხლებდა, თუ მალე ჩაქრებოდა – ცოტა ხანს (ლეჩხუმი). რაჭაში ცეცხლში ჩაგდებული ბზა თუ ცეცხლის ალში ორჯერ ან სამჯერ წაღმა დატრიალდებოდა, ეს კარგი წელიწადის მომასწავებელი იყო, თუ უკუღმა – ცუდის.

სამეგრელოში ბზობა-ბაიობას ბაიას ყვავილს, რომელიც ფერის გამო ხალხისთვის მზესთან იყო ასოცირებული, სახლში, იატაკზე წრიულად დააფენდნენ და ზედ კვერცხებს გადააგორებდნენ. ამ კვერცხებს სააღდგომოდ აუცილებლად შეღებავდნენ. ბზობას ამზადებდნენ ფხალეულს, რომელშიც ბაიას ყვავილს აუცილებლად გაურევდნენ. სწამდათ, რომ ფხალეულის შეჭმის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ენერგიით სავსენი იქნებოდნენ. ბზობისთვის ასევე უნდა ეჭამათ თევზი. ეკლესიაში კურთხევის შემდეგ ბზა სახლში მოჰქონდათ. მას მიცვალებულსაც უდებდნენ საფლავზე და ერთმანეთსაც ჩუქნიდნენ. ზოგან მამაკაცები იკრიბებოდენ და ბზებით ეკლესიას სიმღერით გარს უვლიდნენ. ისინი ბზას ეკლესიაში მისულ ხალხს ჩუქნიდნენ.

მესხეთში ბზობას ქალებს მინდვრიდან თოვლი მოჰქონდათ და გზაში ჭამდნენ, შინ კი ოჯახის წევრებს და საქონელს გადააყრიდნენ, თან ამბობდნენ: „ბზო, ბზო, ბუზები, აქაურობას მოშორდით“. ხალხს სწამდა, რომ ამ წესის შესრულების შემდეგ ბუზები მათ აღარ შეაწუხებდნენ.

ქართლში მღვდელი ტყიდან მოტანილ ბზას აკურთხებდა და ხალხს დაურიგებდა. ხალხი ამ დღეს თევზს ჭამდა. მიცვალებულებისთვის ზურგიელს აკეთებდნენ. ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, დიდ ორაგულს მოხარშავდა და ეკლესიაში წაიღებდა. თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, „დაპურებული“ იყო და ხალხის რწმენით პურის თავთავი კარგად დაისხამდა. იცოდნენ სანთლის დანთება. ქართლში წირვა-ლოცვაზე სიარულს ბზობიდან იწყებდნენ (ე.ი. დადიოდნენ ყოველდღე), ოთხშაბათიდან კი „დაიუქმებდნენ“. ქართლში ვნების ოთხშაბათს ბზობის ოთხშაბათსაც ეძახდნენ.

კახეთში ბზობას ხალხი ეკლესიაში მიდიოდა. ბზა ზეთისცხების შემდეგ მოჰქონდათ სახლში. აქაც თვლიდნენ, რომ თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, პურის უხვი მოსავალი ექნებოდათ, თუ არა და პირიქით. ბზობას კახეთში მიცვალებულებისთვის წანდილს ხარშავდნენ, აკეთებდნენ ზურგიელს. კახეთში სწამდათ, რომ თუ ზურგიელს არ შეჭამდნენ, მათი მიცვალებული საიქიოში წყალს ვერ დალევდნენ. მათ წყალთან არ მიუშვებდნენ. ეკლესიიდან ბზა რომ მოჰქონდათ, ერთმანეთს დაარტყამდნენ, თან გაულექსდავდნენ:

„აჰა, ყვაო ბზა,
ეგერიოს გზა,
მიტრიალდი, მოტრიალდი,
გაოხრდი და გატრიალდი“.

ხალხი ცდილობდა მთელი დღის განმავლობაში ყვავი არ დაენახა: ყვავი წიწილას აღარ შეჭამსო. ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ბზობის ყვავივით გაქრაო“, რაც ვისმეს ერთბაშად გაუჩინარებას ნიშნავს. მთელი ზამთრის განმავლობაში ყვავი სარჩოს საძებნელად სოფელს დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით გაზაფხულზე, რომლის დადგომასაც იგი ბზობას უკავშირებდა, ყვავები სოფლის მახლობელ ტყეებში მიფრინავენ, სადაც საკვებს უხვად პოულობენ, ბზობის შემდეგ კი სოფელში იშვიათად ჩანან.

კახეთში ბზობას საქმის კეთება იცოდნენ, – ყველაფერი ბარაქიანი იქნებაო. უფრო თესავდნენ: სიმინდს, ლობიოს, კიტრს – ბზასავით დაისხამსო. კახელებმა კარგად იცოდნენ, რომ ხარება და ბზობა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, შესაძლოა, ხარება წინ უსწრებდეს ბზობას, ან პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ ხარებობა ბზობას მოსდევს, ხალხის თქმით თევზით არ ხსნილდება, რაც საეკლესიო ტიპიკონს სრულად შეესაბამება.

გუდამაყარში ბზას ბავშვებს თავში უკეთებდნენ, ყვავები დაიმალებიანო. ზოგი ბზას კვერცხებზე ცვლიდა.

ბზობას ხევში ბზობა-კაზარობას ეძახდნენ. მოხევეები ამ დღეს უქმობდნენ, ეკლესიაში წირვა-ლოცვას ესწრებოდნენ, ეზიარებოდნენ და მღვდელი მათ ბზით ნაკურთხ წყალს ასხამდა. ხევში ბზის მაგივრობას ტირიფი ასრულებდ.

მთელ ფშავ-ხევსურეთში მხოლოდ სოფელ მაღაროსკარში არის ბზა. ამ სოფელში იყო პატარა კოშკი – წმ. გიორგის სალოცავი. გადმოცემის მიხედვით, რადგანაც ქრისტიანულ ეკლესიას ბზა სჭირდებოდა და ფშავ-ხევსურეთში იგი არ იყო, ქრისტიანობის განსამტკიცებლად თამარ მეფეს წმ. გიორგის ნიშთან ეს მცენარე გაუშენებია. ამ ადგილს ბზიანას ეძახიან. აქვე ქრისტიანული ეკლესიაც მდგარა. თავდაპირველად მცირე ტერატორიაზე დარგული ბზა დროთა განმავლობაში დიდ ფართობს მოსდებია. ხატი ბზიანაში პირუტყვის შეყვანას კრძალავდა. ვისი პირუტყვიც ბზიანაში შევიდოდა, ხატი მას დაამიზეზებდა, ანუ ავად გახდიდა, ან საქონელს უზარალებდა, ან სხვა რაიმეს შეამთხვევდა. დაზარალებული მივიდოდა მკითხავთან, რომელიც ერთი საკლავისა და სანთელ-საწირის მიტანას დაავალებდა. ფშავში ბზობა მათურის მთავარანგელოზის ხატში იცოდნენ. მიცვალებულის პატრონს ეკლესიაში თევზი მიჰქონდა და იქ მყოფებს უმასპინძლდებოდა. ხატში არც საჭმელის მიტანა იცოდნენ და არც სასმელის. ხევისბერი მლოცველის მიერ მიტანილ სანთელს ჩამოქნიდა, დაანთებდა, ილოცებდა ხატის ყმებისთვის, რის შემდეგაც მლოცველი შინ ბრუნდებოდა“.

თეონა ნოზაძე
ambioni.ge

ჭიაკოკონობა – რა ვიცით ამ „წარმოდგენის“ შესახებ?

ე.წ. ჭიაკოკონობას ადამიანები დიდმარხვის ბოლო კვირაში, ვნების ოთხშაბათს აღნიშნავენ. როგორ აღნიშნავდნენ ამ დღეს საქართველოს კუთხეებში? გვესაუბრება ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

ვნების კვირის ოთხშაბათს ფშავში კუდიან დღე-ღამენის, ხევსურეთში კუდიან წუხრას, ქართლში კუდიანობა ღამეს და სხვას უწოდებდნენ.ძირითადად კი ეს დღე ჭიაკოკონობის სახელით იყო ცნობილი. ვნების ოთხშაბათის ღამეს, სამეგრელოს გარდა მთელ საქართველოში, ქალაქებსა თუ სოფლებში ჭიაკოკონებს ანუ კოცონებს ანთებდნენ. სოფელსა თუ ქალაქში ყველა საკუთარი სახლის წინ კოცონს ანთებდა და დიდი თუ პატარა ცეცხლზე ჯვარედინად მანამ ხტებოდა, სანამ ეს კოცონი არ დაიფერფლებოდა. გადახტომისას უნდა დაეძახათ: „არურუ კუდიანებს (ან: არული, აჰარი, ალული)! ჯვარი აქაურობას!“ ჭიაკოკონას ანთება და მასზე გადახტომა ძირითადად იმის საწინდარი იყო, რომ კუდიანები ვერავის ავნებდნენ და დილაც მშვიდობიანად გათენდებოდა. კუდიანების, ავი სულების დასაფრთხობად და განსადევნად ისროდნენ თოფებს. ხალხის წარმოდგენით კუდიანები ამ ან მომდევნო ღამეს გარკვეულ ადგილას (იალბუზის მთა, აჩხოტის მინდორი, მდ. იორი, ტაბაკონის მთა) იკრიბებოდნენ და ზეიმს მართავდნენ.

სვანეთში ბზობის საღამოდან ლიროკინალი ანუ განდევნა იწყებოდა (იხ. ბზობა). ზოგან ვნების კვირას ჰორიალე ნეგზის ანუ კუდიანების კვირას უწოდებდნენ. სვანეთში დიდ ოთხშაბათს ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქალი იღებდა ქონის ნაჭერს და ოჯახის ყველა წევრს უსვამდა შუბლზე, კისერზე, მკერდზე და ხელის გულებზე, თან ამბობდა: „ღმერთმა მრავალ ბრწყინვალე აღდგომას დაგასწროთ“.

რაჭაში დიდ ოთხშაბათს მხოლოდ სადილობამდე შეიძლებოდა მუშაობა, უფრო ვენახში. ნასადილევს აღარ იმუშავებდნენ.

სამეგრელოში ჭიაკოკონა 15/28 აგვისტოს, ღამე იმართებოდა.

იმერეთში მიაჩნდათ, რომ კუდიანებმა ყველაფერს შეიძლება ავნონ, მათ შორის ვენახსაც. ვაზის დასაცავად იმერეთის მოსახლეობა ვენახშიც ანთებდა კოცონს და იქვე ისროდა თოფს.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ახალ ტანსაცმელს კრავდნენ, ბოხჩაში ახვევდნენ, ტახტზე დებდნენ და ასკილის ტოტებს ადებდნენ, რის შემდეგაც ხალხის რწმენით ტანსაცმელს კუდიანი ვეღარ მიეკარებოდა და ვერ დაჭრიდა. ვინმეს სახლის წინ კაკლის ან ატმის ხე თუ ედგა, ზედ საცერს ჰკიდებდნენ. ხალხის წარმოდგენით კუდიანები კაკლის და ატმის ხეს ეფარებიან, ხოლო თუ მათზე საცერი იქნებოდა დაკიდებული, ისინი ხილული გახდებოდნენ.

მესხეთ-ჯავახეთში ჭიაკოკონობა წითელ პარასკევს იცოდნენ.

ქართლში კუდიანობა ღამეს ასკილის, ტყემლის ტოტებს მოჭრიდნენ, წვრილად ჭრიდნენ, ტაბაკზე ყრიდნენ, ზედ ნახშირს აყრიდნენ და ყანაში მიჰქონდათ. ასკილის ტოტებს მიწაში არჭობდნენ და ძირს ნახშირს ყრიდნენ. ასკილს და ტყემლის ტოტებს (რომლებზეც ხალხი ამბობდა კუდიანების მტერიაო), ბოსტანშიც არჭობდნენ – ავი საქმე, ავი თვალი, ავი ყბა აღარ მოგვიდგებაო, – ამბობდა ხალხი. ამ ყველაფერს დამახვილებას უწოდებდნენ. თუ ქათამი კვერცხზე იჯდა, ასკილის ტოტებს საქათმის კარსაც უკეთებდნენ, კუდიანების დასაფრთხობად კარზე ჯვარედინად ამაგრებდნენ, გარეთა მხრიდან კი მუგუზლებს დებდნენ. ასკილის ტოტებს ფქვილზედაც დებდნენ. მელოგინეს (მომშობიარების შემდეგ ლოგინში მწოლიარე ქალი) ლოგინთან ტყემლის დიდ ჯოხს მიუყუდებდნენ, ბავშვის აკვანს კი ცეცხლს გადაატარებდნენ.

ლიახვის ხეობაში, ჭიაკოკონობის წესს ჭიების საწინააღმდეგოდ ასრულებდნენ. მოსახლეობა ჩალა-კაჭაჭს ცეცხლს წაუკიდებდა, ზედ გადაახტებოდა და დაიძახებდა: „არული კუდიანებს!“ ჩამქრალი ცეცხლის ნაცარს მოხვეტავდნენ და ბოსტანში დაყრიდნენ, რომ ჭიას ბოსტნეული არ გაეფუჭებინა. შემდეგ უმძრახად (სიტყვის უთქმელად) წყალს მოიტანდნენ და ტანს დაიბანდნენ. ზოგან, მაგალითად სოფელ ერედვში ამ წესს დიდ ხუთშაბათს ასრულებდნენ.

კახეთში, ეშმაკი სახლში რომ ვერ შესულიყო, კარის ძელზე ცეცხლმოკიდებულ ეკალს ჰკიდებდნენ. ანთებული ცოცხით ან ფიჩხის კონით სახლს გარშემო რამდენჯერმე შემოურბენდნენ, რომ ეშმაკი მათ საცხოვრებელს ახლოსაც კი ვერ მიკარებოდა.

ხევსურებმა ამავე დღეს, ანუ კუდიან წუხრას, როგორც მას თავად უწოდებდნენ, მესმინაედ დაჯდომა ანუ კუდიანების სმინაობა, მოსმენა იცოდნენ. ვისაც კუდიანების საუბრის მოსმენა უნდოდა, ის ამ ღამეს სადმე შორს, გზის გასაყარზე, ჩუმად და ზურგშექცევით დაჯდებოდა. მესმინაედ დამჯდარი თავის გარშემო თითისტარით წრეს შემოავლებდა და გარშემო ნახშირს შემოიყრიდა. მესმინაე აუცილებლად მაგრად უნდა მჯდარიყო, არ განძრეულიყო და არ შეშინებოდა. ხალხის აზრით კუდიანებს ნახშირის წრის გადალახვა არ შეეძლოთ. ასევე მიაჩნდათ, რომ კუდიანები ძირითადად იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ ვინ როგორი ადამიანი იყო, ვინ რამდენ ხანს იცოცხლებდა, რითი და როდის გარდაიცვლებოდა. ხალხის რწმენით კუდიანები გამთენიისას ქრებოდნენ.

ხევსურეთში მას მერე, რაც ყველა ქალი ბუნაგს დაღბეჭდავდა ე.ი ყველაფერს, რაც სახლში ექნებოდათ ჯვრის ფორმით ნახშირს წაუსვამდა და იტყოდნენ: „ქრისტემ დაგკრას ბეჭედი, ქრისტეს დედამ მარიამმა!“ ბავშვს ასკილის ტოტების მოსატანად გზავნიდნენ. ერთ ტოტს ნეხვზე არჭობდნენ და იტყოდნენ: „კუდიან ფეხშეკრული!“ ერთს კარის და საკვამურის თავზე შემოდებდნენ და იტყოდნენ: „კუდიანს შახმას (ე. ი. შეახმეს) ფეხი!“ ყოველივე ამის შემდეგ, მავნე სულების დასაფრთხობად სახლის წინ დიდ ცეცხლს ანთებდნენ, ბავშვები ოკებს ცეცხლს წაუკიდებდნენ, შორს გაისროდნენ და იტყოდნენ: „ჩვენს ნურას წაიღებთ, თავისა შასვითა, შეჭამეთ!“ ოკი არის ფრთა, რომელსაც ბავშვები ისარივით დამზადებულ ეკალს უკეთებდნენ. შემდეგ ოჯახის უფროსი სამ მუგუზალს აიღებდა, სახლის ბანზე ავიდოდა და წრის შემოხაზვის შემდეგ შორს გაისროდა, თან იტყოდა: „რიტი, რიტი კუდიანნო, ნუმც რა მიგაქვისთ ჩემი სახლისა ქვის მეტი, ხის მეტი, რკინის მეტი! თავისა შასვით და შაჭამეთ, თავისა შაოოთხშაბათეთ! დაგკრასთ ლახტი კოპალმა გულჩიო, გაგაგდებიასთ გულჩი“. საბოლოოდ, გადახტომის შემდეგ, ცეცხლს მიწაზე ფეხით სრესავდნენ და ამბობდნენ: ესემც დაიწვები ცეცხლშიო.

ფშავში ვნების ოთხშაბათს ყველა ოჯახი თავისი კარის წინ ჭიაკოკონას ანთებდა. კუდიანების დასაშინებლად თოფსაც ისროდნენ. საკვამურს, კარის თავზე, საპურეს, გოდრებს, ბოსლის კარს, გარეთ დაგროვილ ძროხის ნაკელს და სხვას ეკალს უკეთებდნენ, რადგან ხალხის რწმენით კუდიანებს ეკლის ეშინოდათ და „მადლ-ბარაქას“ ვერ დაუკარგავდნენ. მას შემდეგ, რაც ბავშვები დაიძინებდნენ, მათაც „დაბეჭდავდნენ“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლოგინში მწოლიარე ბავშვებს შემდეგი სიტყვებით გადააყრიდნენ ნახშირს: „ჯვარი გეწეროსთ წმიდის გიორგის დაწერილი“. ეშმაკების შიშით მოხუცი ქალები ამ წესს სხვა დღეებშიც ასრულებდნენ, თან მწოლიარე ბავშვებს ჯვარსაც გადასახავდნენ.

თუ ქალი და ბავშვი გზაზე უკაცოდ მიდიოდა, მოხუცი ქალი ჯვარს გადასახავდა და უბეში ნახშირს ჩაუდებდა. კუდიან საღამოს ნახშირს ან ნაღვერდლებს გამოიტანდნენ და სახლის გარშემო მიმოაბნევდნენ.

ფშავლების თქმით, ვინაიდან „ოთხშაბათი კუდიანი დღე იყო“, კუდიანებს ღვთისშვილებისა და ღმერთის ნებით ქვეყანაზე სიარულის უფლება ჰქონდათ. ამ დღეს ქალებსა და ბავშვებს ძალიან ეშინოდათ გარეთ გამოსვლა. კუდიანებს, რომლებიც ხალხის რწმენით ქალებიც იყვნენ და კაცებიც, ნებისმიერი ადამიანის ვნება შეეძლოთ. მსხვერპლი ავად ხდებოდა და კვდებოდა. ხალხის აზრით კუდიანები ადამიანებს თავსაც აკვლევინებდნენ ან თვითონვე ხოცავდნენ ზვავით, წყლით ან ქვით. ისინი შინაურებსაც არ ინდობდნენ. თუ რომელიმე დაინდობდა, მათი უფროსი – როკაპი მასაც მოკლავდა. კუდიანს სასჯელისაგან მხოლოდ თავისი კუდიანობის სახალხო, საჯარო აღიარება თუ იხსნიდა. ხალხის თქმით კუდიანი დედაკაცი ძალიან მავნე და დაუზოგავია, კაცი – არა. კუდიანი კაცი მშვიდია, ვინმეს ვნებას ვერც კი ავალებდნენ, რადგან დავალებას არ შეასრულებდა. იგი ყოველთვის იცავდა თავის გვარს, ნათესაობას და ყოველ ღონეს იხმარდა, თავისიანები მოსალოდნელი უბედურებისაგან დაეცვა. ფშავლები იტყოდნენ: „ნეტავი იმ მამიშვილობას, რომელ მამიშვილობაშიც კუდიანი კაცია და ვაი იმ მამიშვილობას, ვის მამაშიც კუდიანი დედაკაციაო“. კუდიანობის უნარის დაკარგვა მხოლოდ გამოტეხვის, აღიარების შემდეგ იყო შესაძლებელი. სჯეროდათ, რომ კუდიანებს შეეძლოთ მონადირეებისათვის სახიფათო გზები უხიფათოდ მოეჩვენებინათ. ამიტომ მონადირე და მგზავრი ისე არ გაივლიდა სახიფათო ადგილებს, რომ სავალი არ შეემოწმებინა, ღმერთი არ ეხსენებია და პირჯვარი არ გადაეწერა. ხალხის აზრით კუდიანი ადამიანი შავია.

ambioni.ge

ნიახურის და ოხრახუშის სამკურნალო თვისებები და რეცეპტები

სასიამოვნო გემო და არომატი მწვანილის ერთადერთი ღირსება ნამდვილად არ არის.საუკუნეებია, რაც მწვანილის სასარგებლო თვისებებზე საუბრობენ მეცნიერები. უძველესი დროიდან მოყოლებული დაავადებების განსაკურნად სამკურნალო მცენარეებს იყენებდნენ. ძველი ეგვიპტური სამედიცინო კრებული „ებერსის პაპირუსი“, რომელიც ძვ.წ.აღ.მე – 16 საუკუნით თარიღდება, შეიცავს ასობით ხალხურ სამკურნალო საშუალებას, რომელიც თაობიდან თაობებს გადაეცემოდა.

დასავლურ მედიცინაში მცენარეებით მკურნალობა სათავეს იღებს დიოსკორიდესგან (პირველი საუკუნის ბერძენი ექიმისგან), რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „სამკურნალო საშუალებათა შესახებ“, რომელიც საუკუნეების მანძილზე წამყვან ფარმაკოლოგიურ ნაშრომად ითვლებოდა.

ხალხურ მედიცინაშიც, ოხრახუშის და ნიახურის ყველაზე სასარგებლო თვისებებზე აღნიშნავდნენ.

ოხრახუში აღძრავს მადას და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. კალციუმი, რკინა და ფოსფორი მის ფოთლებში გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ბოსტნეულში. გარდა ამისა, ის C ვიტამინის უხვი შემცველობით გამოირჩევა. ასკორბინის მჟავა მასში სამჯერ მეტია, ვიდრე ლიმონში. ოხრახუში კალიუმსა და ნატრიუმსაც შეიცავს, ამიტომ განსაკუთრებით მათთვისაა სასარგებლო, ვისაც გულის, თირკმელების, შარდის ბუშტის პათოლოგიები აწუხებს. ბოლო კვლევების საფუძველზე კი მეცნიერებმა მასში მამაკაცის ერექციის გამახანგრძლივებელი ნივთიერებები აღმოაჩინეს.ოხრახუშს შარდმდენად მოიხსენიებენ, რამდენადაც ის საკმაოდ დიდი რაოდენობის კალიუმს შეიცავს. შარდთან ერთად ორგანიზმიდან გამოიყოფა სიცოცხლისათვის აუცილებელი მიკროელემენტი.თავდაპირველად ოხრახუშს იყენებდნენ პანაცეას ჭრილობებისა და მწერების ნაკბენებში. ამ მცენარის სასარგებლო თვისებები გამოირჩევა უმდიდრესი ვიტამინის მინერალური კომპლექსით.ოხრახუში – ვირუსული დაავადებების შეუცვლელი მკურნალია.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აღმოაჩინა, რომ ოხრახუში შეიცავს არა მხოლოდ კომპლექსურ სასარგებლო ნივთიერებებსა და ვიტამინებს, მათ შორის ბეტა – კაროტინს, C, E ვიტამინებს და მინერალებს (მაგნიუმი, ფოსფორი, თუთია, რკინა, კალციუმი, კალიუმი, სელენი, ფთორი), ის შესანიშნავად ინარჩუნებს საკუთარ თვისებებს გაყინულ მდგომარეობაშიც.

ოხრახუში ხელს უწყობს ცუდ მხედველობას, მაღალი წნევის ნორმალიზებას და სელენი – რომელსაც კიბოს საწინააღმდეგო თვისებები გააჩნია.

თუ გაწუხებთ ღვიძლი და ცხოვრობთ არაჯანსაღ გარემოში, მაშინ ეს რეცეპტი შესაძლოა გამოგადგეთ.

ბლენდერში ათქვიფეთ ერთი კონა ოხრახუში და საშუალო ზომის ორი კბილი ნიორი. დაამატეთ ერთი სუფრის კოვზი ლიმონის წვენი და ამდენივე წყალი, რათა მიიღოთ ერთი ჭიქა ნარევი. მიიღეთ ეს სასმელი საუზმისა და ვახშმის წინ სამი დღის განმავლობაში. შემდეგ სამი დღე მიირთვით მხოლოდ ოხრახუშისა და ლიმონის ერთმანეთში არეული წვენი. მომდევნო სამი დღე კვლავ იგივე წვენი, ამჯერად კვლავ ნიორით.

9 დღიანი კურსის შემდეგ დაისვენეთ 2 კვირა და კვლავ გაიმეორეთ.

ნიახური ოხრახუშის „ახლო ნათესავია“, თუმცა ბოსტანში ისინი სხვადასხვა გზით მოხვდნენ: ოხრახუში – მთიდან, ნიახური კი – ჭაობიდან. ამასთან, ნიახურს კარგა ხანი დასჭირდა, სანამ ბოსტნეულის რიგში დაიმკვიდრებდა ადგილს.

შუა საუკუნეებში, ის ერთ-ერთ სერიოზულ სამკურნალო მცენარეულ საშუალებად მიიჩნეოდა. ნიახურით მკურნალობდნენ სიყვითლეს, პოდაგრას, რევმატიზმს, სისხლნაკლულობას, თირკმლების დაავადებებს. თურმე ცნობილ მოგზაურს ჯეიმს კუკს ექსპედიციებში ყოველთვის მიჰქონდა ნიახური და სწორედ მისი წყალობით გადაურჩა სურავანდს.

ნიახური ეთერზეთებს, მინერალურ ნივთიერებებს, მჟავებს, C, B, PP და წყლულის საწინააღმდეგო ვიტამინ U-ს შეიცავს. ნიახური დღესაც ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინასა და კულინარიაში.

ნიახურს ძველი ბერძნები მთვარის მცენარეს უწოდებდნენ. ის სიყვარულის იმ უძველეს ჯადოსნურ სასმელში შედის, რომლის რეცეპტიც საიდუმლოს წარმოადგენს, თუმცა ხალხური მკურნალები ამტკიცებენ, რომ მისი მსგავსი სასმელი ანუ საშუალება, რომელსაც მამაკაცური ძალების აღდგენის უნარი შესწევს, შეიძლება ნებისმიერმა მსურველმა იოლად მოამზადოს:

აურიეთ 0,5 ჭიქა ნიახურის ძირების წვენი და 1/4 ჭიქა გარეული მსხლის წვენი (შეიძლება შეცვალოთ 1 ს. კოვზი ვაშლის ძმრით). ახალმომზადებული სასმელი მამაკაცებმა შებინდებისას უნდა მიირთვან.

ნიახურის ძირები არა მარტო მამაკაცებს ეხმარება ძალების აღდგენაში, არამედ ქალებსაც: კლიმაქსი შეუმჩნევლად ჩაივლის, თუ 35 წლის ასაკიდან ხშირ-ხშირად მიირთმევთ ნიახურის ძირებით შეკაზმულ კერძებს.

ნიახურის ძირებისგან მომზადებული სალათა ადამიანს სწრაფად მოუხსნის მოთენთილობას და სიმხნევეს შემატებს. ეს სალათა შეგიძლიათ ასე მოამზადოთ:

მსხვილ სახეხზე გახეხეთ ნიახურის ძირები, მომჟავო-მოტკბო გათლილი ვაშლი და საშუალო ზომის სტაფილო. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 2 ს. კოვზი ოხრახუში, 3 ცალი ნიგოზი და მარილი – გემოვნებით. დაასხით მცენარეული ზეთი ან ნაკლებად ცხიმიანი არაჟანი.

ნიახური ყველასთვის სასარგებლოა, ოღონდ არ არის რეკომენდებული ორსულებისა და მეძუძური ქალებისთვის.

ნიახური განსაკუთრებით ხანში შესულ ადამიანებს ესაჭიროებათ. ის ამ დროისთვის დარღვეულ წყალ-მარილოვან ცვლას აღადგენს. სწორედ ამიტომაა სასარგებლო ნიახურის მიღება მათთვის, ვისაც სიმსუქნე, პოდაგრა, დიაბეტი, რევმატიზმი და პოლიართრიტი აწუხებს. მცენარე კურნავს ამ დაავადებებს და პარალელურად სახსრების ტკივილსაც ხსნის.

ართრიტის დროს სასარგებლოა ახალგამოწურული ნიახურისა და ოხრახუშის წვენის ნარევი (თანაბარი რაოდენობით). მიიღება 2 ს. კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ.

რევმატიზმის, პოდაგრის, სახსრების ტკივილის დროს შემდეგი წესით დამზადებული ნიახურის ძირების ნაყენი მიიღეთ: 1 ს. კოვზ ნედლ, წვრილად დაჭრილ ნიახურის ძირებს 0,5 ლიტრი მდუღარე წყალი დაასხით, 4 საათი თავდახურულ ჭურჭელში დააყენეთ, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ 2 ს. კოვზი, დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 1/2 საათით ადრე.

ნიახურის ძირები ზემოთ ხსენებულ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნითაც გამოიყენება.

სახალხო მკურნალები ნიახურის ძირებს კანის მრავალი დაავადების სამკურნალოდ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. სებორეის, თმის ცვენის (ალოპეცია), სებორეული ეგზემის, ფსორიაზისა და ვიტილიგოს დროს რეკომენდებულია ნიახურის შეზელა კანში, დღეგამოშვებით, 10-20 წუთის განმავლობაში. სულ უნდა გაკეთდეს 10-18 პროცედურა. 2-3 თვის შემდეგ კი მკურნალობის კურსი უნდა გაიმეოროთ.

მკურნალობა მეტად ეფექტიანი იქნება, თუ ნიახურს გამოიყენებენ არა მარტო კანის ზედაპირული დამუშავების, არამედ შინაგანი მოხმარების მიზნითაც, რადგან ის შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ღვიძლის მუშაობას უწყობს ხელს.

კანის ჩირქოვანი დაავადებების დროს 1 ს. კოვზ წვრილად დაჭრილ ნიახურის ძირებს დაასხით 1,5 ჭიქა ცივი წყალი, გააჩერეთ 4 საათი, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ თითო-თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ. კარგია 1-2 ჩ. კოვზი ახალგამოწურული ნიახურის ძირების წვენის მიღება დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

თვით ჰიპოკრატე მიიჩნევდა, რომ ნერვული აშლილობის დროს ადამიანმა რაც შეიძლება მეტი ნიახურის ძირები უნდა მიიღოს — დამშვიდდება და განწონასწორებული გახდება.

ნერვების დასამშვიდებლად ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის ნიახურის ძირების წვენი და თაფლი. მიიღეთ 3 კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, 8-8 ჩაის კოვზი ნარევი.

თანაბარი რაოდენობით აღებული ნიახურის წვენისა და სტაფილოსაგან მომზადებული ნარევი ნერვული სისტემისთვის ძლიერ სასარგებლოა.

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

დაფნის კულტურის გამოყენება კულინარიასა და ფარმაკოლოგიაში

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დაფნის მცენარეს ყოველთვის მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. მას, როგორც მთლიანად მცენარეს, ისე ცალკე ფოთოლს და ნაყოფს, სახალხო მეურნეობაში მრავალმნიშვნელოვანი გამოყენება აქვს.

მცენარის ყველა ნაწილში, განსაკუთრებით ფოთლებში, სხვადასხვა რაოდენობით წარმოიქმნება და გროვდება კვებითი ღირებულების სასიამოვნო არომატული ეთეროვანი ზეთი, რომლის ქიმიური შედგენილობა და სურნელება აღვიძებს მადას და სასიამოვნო გემოს აძლევს, როგორც ცხელ, ისე დაკონსერვებულ საკვებს.

დაფნის ხმელი ფოთოლი ისეთივე საკმაზ-სანელებელი მცენარეული პროდუქტია, როგორიც მაგალითად, მიხაკ-დარიჩინი, სურნელოვანი შავი წიწაკა და სხვა. დაფნის ხმელი ფოთოლი ცხელსა და ცივ ხსნარში ხმარებისას არ ფუჭდება, ამიტომ განუსაზღვრელი დროით შეიძლება კერძში მისი დატოვება.

ეთეროვანი ზეთი დაფნის ფოთლიდან ხსნარში გადადის და საჭმელს ნაზ არომატს აძლევს. აგრეთვე იყენებენ ხორცის დაშაშხვისას, თევზის დამარილებისას, ბოსტნეულისა და ხორცეულის დაკონსერვებისას. მას ყოველდღიურად ხმარობენ ცხელი კერძების შესაკაზმავად.

დაფნის ფოთოლი იხმარება ხილეულის, ბოსტნეულისა და სოკოების დამარილება-დამწნილების დროსაც. იგი სასიამოვნო არომატის გარდა, საჭმელს ამდიდრებს ვიტამინებით, ხოლო ფიტოცინდური თვისებების გამო ახანგრძლივებს მზა კერძის შენახვის ვადას.

ცნობილია, რომ დაფნას აქვს ფიტოცინდური თვისებები. ჰაერზე კარგად გამომშრალი ფოთოლი არ ავადდება და ადვილად ლპობადი ხილეულის დაცვის საუკეთესო საშუალებაა. იტალიაში ნაზ ხილეულს ყუთებში დაფნის ხმელი ფოთლებით ფუთავენ.

შემჩნეულია, რომ დაფნის ფოთლის სუნს გაურბიან ოთახის ბუზები და კოღოები. ყოველივე ამის გამო, დაფნა, მიზანშეწონილია გაშენდეს კასრებში შენობებისა და საცხოვრებელი ფართობების გასამწვანებლად. ასეთ პირობებს დაფნა შესანიშნავად ეგუება. მიუხედავად იმისა, რომ დაფნა სინათლის მოყვარული მცენარეა, ის ოთახის პირობებში დაჩრდილვასაც შესანიშნავად იტანს.

დაფნა მედიცინაში

მედიცინაში ცნობილია აგრეთვე ნაყოფისაგან გამოხდილი წვენი. დაფნის ნაყოფი მცირე რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთსა და პინენის ჯგუფის ნივთიერებას, ამიტომ მას სამკურნალოდ იყენებენ, ნევრასტენიის დროს როგორც დასაამებელ საუკეთესო საშუალებას.

ზაზა ფანასკერტელის ძველ ქართულ კარაბადინში, სხვა მცენარეულ წამლებთან ერთად მოხსენიებულია დაფნის თესლიც, რომელსაც თავის ტკივილის დროს ხმარობდნენ, იქვე ნახსენებია დაფნის ფოთლის ნახარში, როგორც თავის ტკივილის დროს გარეგანად წასასმელი დასამშვიდებელი საშუალება.

დაფნის მცენარის სხვადასხვა ნაწილისაგან დამზადებული წამლები ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, პირველ საუკუნეში დიოსკორიდის სამკურნალო რეცეპტებში. მისგან დამზადებული მალამო და ფოთლების ნახარში გამოიყენებოდა სახსრების ტკივილის დროს შესაზელად, ხვეულების და გაცივების დროს, თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.

ძველი სამკურნალო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დაფნის ხმელ ნაყოფს იყენებდნენ საჭმელად, როგორც სადეზინფექციო საშუალებას, ნაწლავების გასაწმენდად და საჭმლის მონელების გასაძლიერებლად.

მცენარის ეთეროვან და ცხიმოვან ზეთებს ფართოდ იყენებენ ვეტერინარიაშიც. დაფნის მალამოს ცხოველების სამკურნალოდაც ხმარობენ. ფოთლის ნახარშს, როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას, იყენებენ ცხოველებისათვის ტკიპების მოსაშორებლად.

დაფნის ეთერზეთი

დაფნის ეთერზეთი წარმოადგენს მოყვითალო ან მომწვანო ფერის სითხეს, რომლის შემადგენლობაში შედის ცინეოლი, პინენი, გერანიოლი, ტერპინეოლი, მეთილევგენოლი, ვალერიანის და კაპრონის მჟავები და სხვ. ეთერზეთის შემცველობა დაფნის ჰაერშშრალ ფოთლებში მერყეობს 0,6-დან 0,5 პროცენტამდე, ტოტებში – 0,3-დან 0,65 პროცენტამდე.

ეთეროვანი ზეთისაგან დამზადებია დაფნის ფოთლის ნახარში, როგორც თავის ტკივილის დროს გარეგანად წასასმელი დასამშვიდებელი საშუალება.

ეთეროვანი ზეთისაგან დამზადებულ ესენციას ხმარობენ ნამცხვრების, კანფეტებისა და სხვა ტკბილეულის გასაგემოვნებლად. დაფნა სასიამოვნო სუნს და გემოს აძლევს ნაყინს, კისელს, სიროფს, გამაგრილებელ წყლებსა და ფართო მოხმარების სხვა პროდუქტებს.

ფოთლების გარდა, ეთეროვანი ზეთი არის აგრეთვე ახალგაზრდა ტოტებში, რომლებსაც მოსავლის აღებისას ჭრიან. დაფნის ტოტებიდან მიღებული ეთეროვანი ზეთი სრულფასოვანია და ის არაფრით ჩამოუვარდება ფოთლიდან მიღებულ ზეთს.

ამ ზეთიდან ამზადებენ შესაკაზმავ პრეპარატს, რომლის შედგენილობაა: 90% მზესუმზირას ზეთი, 10% დაფნის ღეროებისაგან გამოხდილი ეთეროვანი ზეთი, რომელსაც კულინარიაში დაფნის ფოთლის ნაცვლად ხმარობენ.

დაფნის ნაყოფის ცხიმზეთი, დაფნის ეთეროვანი ზეთის მსგავსად სურნელოვანია. ნაყოფის გულის ცხიმისაგან დამზადებული საპონი კარგად ქაფდება და ამასთან ანტისეპტიკური თვისებებიც გააჩნია, ამიტომ მას სამედიცინო საპონს უწოდებენ.

დაფნის მცენარის თითქმის ყველა ნაწილი და მათ შორის მერქანიც შეიცავს ეთეროვან ზეთს, რასაკვირველია მეტნაკლები რაოდენობით. ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ფოთლები და ახალგაზრდა ტოტები. სწორედ ამიტომ გადამუშავების თალსაზრისით ძირითადად ეს ორი ნაწილი აიღება ეთეროვანი ზეთის მისაღებად.

ნედლეულში ეთეროვანი ზეთების სხვადასხვაობა შეიმჩნევა არა მარტო მცენარის სხვადასხვა ნაწილში, არამედ წლის გარკვეული პერიოდების მიხედვითაც. დადგენილია, რომ ეთეროვანი ზეთის შემცველობა მცენარეში მაქსიმალურია ზამთარში, ხოლო ზაფხულში კი მისი რაოდენობა კლებულობს.

ეთეროვანი ზეთის შემცველობა დამოკიდებულია აგრეთვე მცენარის ასაკზე, მაგალითად, გამოკვლევებით დადგენილია, რომ ერთი წლის ფოთოლი დაახლოებით ორჯერ ნაკლებ ეთეროვან ზეთს შეიცავს, ვიდრე ორი წლის ფოთოლი. გამომდინარე აქედან ნედლეული აიღება ისეთ პერიოდში, როდესაც აჭრა ხდება დარგვიდან 3-4 წლის შემდეგ – ყოველ ორ წელიწადში ერთხელ; ნედლეულს იღებენ ნოემბერ-დეკემბერში მშრალ მზიან ამინდში.

ნედლეულის გადამუშავება ხდება როგორც ნედლი, ისე გამშრალი სახით. დღემდე დაფნის ფოთლის გაშრობა წარმოებს ბუნებრივად, ფარდულებში. დაფნას აშრობენ ტოტების სახით, რომლის საწყისი ტენიანობა 60%-ია, შრობის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ პირობებში უდრის 7-8 დღეს. ცუდ ამინდში კი 15 დღემდე გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ შრობის გახანგრძლივება უარყოფითად მოქმედებს ნედლეულის ხარისხზე, იცვლება მისი ფერი, ქიმიური შედგენილობა, ასევე კლებულობს ეთერზეთების რაოდენობა და სხვა. შრობა დამთავრებულად ითვლება, როდესაც ტენიანობა ნედლეულში იქნება 12-14 %. დაფნის ეთეროვანი ზეთის გამოყოფა მიმდინარეობს წყლის ორთქლთან გამოხდით, რისთვისაც ნედლეული ტოტების სახით იტვირთება, კუბში. კუბის ყოველ 1000 ლიტრზე უნდა ჩაიტვირთოს 180-200 კგ; ნედლეულის გამოხდის ხანგრძლივობა უდრის 2-4 საათს.

გამოხდის სიჩქარე უნდა იყოს 50 ლიტრი ყოველ 1000 ლიტრ მოცულობაზე, გამონახდის ტემპერატურა 30-350; მიმღებ ჭურჭელში გამოიყოფა მთელი ზეთის 90-95%. დანარჩენი კი მიყვება წყალს, საიდანაც მისი გამოყოფა მიმდინარეობს კოგობაციით.

დაფნიდან გამოყოფილი ეთეროვანი ზეთი მოყვითალო ან ოდნავ მომწვანო ფერის მოძრავი სითხეა. ნედლეული ფოთლიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავალი უდრის 1,81%-ს, ხოლო მშრალ ნივთიერებაზე გაანგარიშებით 3,5%-მდე.

დაფნის ეთეროვან ზეთში ძირითადად არის ცინეოლი – 50%, პინენი – 30%-მდე, სპირტები, გერანიოლი და ტერპინეოლი – 16%-მდე და სხვადასხვა მჟავა. აღსანიშნავია, რომ დაფნის ეთეროვანი ზეთების ქიმიურ შედგენილობაზე დღემდე ერთიანი აზრი არ არსებობს და ბევრი შეხედულება ეყრდნობა ადრე ჩატარებულ სამუშაოებს.

რეზო ჯაბანიძე
სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ნანა ჯაბანიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

მარჯორი უორდროპი

გაგრძელება (დასაწყისი იხ. გაზეთ „ყვარლის“ წინა ნომერში)

როგორც წერილიდან სჩანს, ეს დიდად ჩვენთვის სიმპათიური ასული დიდებულის ქვეყნისა, მალე გვესტუმრება და იმედია დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხი არ არის უმადური და სიყვარულისა და მეგობრობის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ დაგვიმტკიცა ამ სამაგალითო ქალმა, ქართველს კარგად ესმის“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ამ წერილის გამოქვეყნებას „ივერიაში“ ასე იგონებს:

მაგონდება ის ტკბილი წუთიცა, რომელიც განვიცადეთ „ივერიის“ რედაქციაში 1894 წელს, როცა დათა მიქელაძემ (მეველე) განსვენებულის წერილი შემოიტანა, ქართულად ლამაზის ხელით დაწერილი და გვახარა: აი, უორდროპის ასულს ილიასთვის წერილი გამოუგზავნია და ნებართვას სთხოვს „განდეგილი“ ინგლისურად სთარგმნოსო. ჩვენ თვალებს არ ვუჯერებდით, ამ წერილს რომ ვკითხულობდით, ძნელად წარმოგვედგინა, რომ ჩვენს ენას, უცხოელთათვის ძნელად სასნავლ ენად მიჩნეულს, ასე ისწავლიდა ინგლისელი ქალი, და ისიც საქართველოს უნახავად, ცოცხალის ენის გაუგონებლად!..

ყველანი გაგვამხნევა, იმედი მოგვფინა, სრულიად დავიწყებულად არ მივიჩნიეთ თავი... და ყველამ სარბიელი დავუთმეცეთ ასეთს არაჩვეულებრივს ასულს და თან გულწრფელი კურთხევა შევუთვალეთ იმ დედას, რომელმაც მას ძუძუ აწოვა და იმ ქვეყანას, რომელმაც იგი წარმოშვა“.

ილია ჭავჭავაძემ მალე საპასუხო მადლობისა და თანხმობის ბარათი გაუგზავნა მარჯორი უორდროპს:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მოუპოვებია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

სახელოვანმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთ დროს თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დასდგომია განათლების მტრებს – ბარბაროსებს.

ყოველს ქართველს თავმოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი, ყველასგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით და გულისტკივილით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს და რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის. დიდებულმა და ძლიერმა ერმა ინგლისისამ სასურველია იცოდეს, რომ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული ადამიანურად, რომ აქაცა აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ დაჩნეული აქვს ჩვენს მწერლობას, რამოდენადაც კი გაჭირვებული მდგომარეობა ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა, გადაღება ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით, თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დიდ ღვაწლად მიჩნეული იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი საზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის და როგორც გენებოთ ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ, – როდის და რა გზით ინებებთ მობრძანებას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენის მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივცემული

ილია ჭავჭავაძე

P.S. თქვენს პატივცემულ ძმას ჩემი გულითადი სალამი და მოკითხვა მოახსენე.

მოწყალე ხელმწიფე „მისს“ ვარდროპს

20 სექტემბერი, 1894 წ. ტფილისი.

1895 წელს ლონდონში დაიბეჭდა ილიას უკვდავი“განდეგილის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური პოეტური თარგმანი შემკული ილიას სურათითა და თვით მარჯორის მიერ შედგენილი მოკლე წინასიტყვაობით, რომელშიც მოცემულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობათა დახასიათება.

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ამ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა ინგლისურმა პრესამ. 1896 წლის 20 ოქტომბრის „ცნობის ფურცელი“ ქართველ მკითხველს აუწყებს: გაზეთი „სკოტსმანი“ ასე ეხმაურება ამ მოვლენას: „ეს პოემა თარგმანია ქართული ენიდან. დიდად საყურადღებოა ვითარცა ნიმუში უცხო ქვეყნის მწერლისა. თავ. ჭავჭავაძე უეჭველია უნდა იყოს საუკეთესო პოეტი თავისს ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიდი ნიჭი და აღმაფრენილი ძლიერება პოეტური ფანტაზიისა“.

„განდეგილის“ ინგლისური თარგმანის მიღებით გახარებული ოლღა ჭავჭავაძე სამადლობელ წერილს უგზავნის მთარგმნელს: „ჩემთვის უძვირფასესო ტკბილო მარჯორე! ... თქვენ დიდი ბრიტანეთის შვილმა არ დაიზარეთ, შეისწავლეთ ჩემი საყვარელი დედა-ენა იმ წერილობამდინ, რომ თქვენის ნათარგმნით გააცნოთ თქვენ განათლებულ ხალხს ჩემი პატარა დავიწყებული სამშობლო. ილიას სურათმა აღტაცებაში მომიყვანა, ისე ცოცხლათ არის გამოყვანილი, თითქო საცაა დაილაპარაკებსო“.

მარჯორი უორდროპმა ილია ჭავჭავაძეს და ქართველ საზოგადოებრიობას თავისი დანაპირები აუსრულა და უკვე 1894 წლის 3 დეკემბერს „ივერია“ მთელ საქართველოს აუწყებს:

„დღეს, შაბათს, 3 დეკემბერს, დილით ჩამოვა ტფილისში ლონდონიდგან მისს მარჯორი ვარდროპი, რომელიც ისე თანაგრძნობით ეკიდება ყოველსავე ქართულს და იმ აზრით არის ჩვენს სამშობლოში წამოსული, რომ ქართული ენა უფრო სავსებით შეისწავლოს. ამ სტუმრობის დროს მარჯორის თან დედა და ძმა – ოლივერიც ახლდა.

ჩვენი მუზეუმის ფონდებში დაცულია ცნობილი ქართველი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის მოგონება მარჯორი უორდროპის ჩამოსვლის და მცხეთის სადგურზე ქართველი ინტელიგენციის შეხვედრის შესახებ:

„ძვირფასო ქალბატონო კატო!

დღეს საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოდის ინგლისელი ქალი მარჯორი უორდროპი, რომელსაც სურს სთარგმნოს ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი“ და ზოგიერთი ქართული პოეზიის შედევრები.

ილია გთხოვთ, ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ მცხეთის სადგურზე უორდროპის შესახვედრად. თუ ინებებთ წამოსვლას, საღამოს რვის ნახევარზე მობრძანდით ჩვენთან და იქიდან ერთად გავემგზავროთ მცხეთას“, – მწერდა ილიას მეუღლე ოლღა.

მე კარგად ვიცოდი ვინც იყო მარჯორი უორდროპი და, რასაკვირველია, აღტაცებით შევეგებე ამ წინადადებას, მოვემზადე წასასვლელად.

ჯერ რვის ნახევარიც არ იყო, როდესაც ჭავჭავაძიანთ კარებთან ზარი დავრეკე. კარის გაღების უმალ ავირბინე კიბეზე. მოკრძალებით გავიარე ოდნავ განათებული დიდი დარბაზი და შევედი ლიზას პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც დიდი გემოვნებით იყო მორთული: ძვირფას ხალიჩებით დაფენილი, წითელ პლუშ-გადაკრული დაბალი სავარძლებით, კედელზე დიდი ლამაზი სარკით, კუთხეში პატარა მაგიდაზე თვალწარმტაცი ყვავილების უშველებელი თაიგული. ორ ფანჯარაზე ჩამოშვებული იყო ძვირფასი ბლონდის ფარდები. ყველა ამას მკრთალ ნათელს ჰფენდა პირისფერ აბაჟურ–ჩამოფარებული ლუსტრა. ორ ფანჯარას შუა იდგა ოთახის მაგვარადვე მორთული ტახტი, მუთაქებით და ნაკერი ბალიშებით შემკული.

ტახტზედ იჯდა მდიდარი ქართული კაბებით და სარტყელ–გულისპირით გამოწყობილი სამი მანდილოსანი: კნეინა სალომე, ლევან ჯანდიერის მეუღლე, ცნობილი მშვენიერი ბაბალე კნეინა ბარათაშვილისა, და დიასახლისი ელისაბედ საგინაშვილისა. ქალები კრიალოსნებს ათამაშებდნენ და მეგობრულად ბაასობდნენ. ჩემს შესვლაზედ დარბაისელი კნეინები, რასაკვირველია, არ გარჯილან ფეხზე წამოსადგომათ, მხოლოდ ალერსიანი ღიმილით მითხრეს: „გაუმარჯოს ჩვენს კატოს“. ელისაბედმა მიმიწვია და თავის ახლოს სავარძელში დაჯდომა მთხოვა. ამასთან ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თუ რამდენად შესაფერად ვიყავ ჩაცმული წასასვლელად.

იმავე წამს, მეორე ოთახიდან ჩქარის ნაბიჯით გამოვიდა ოლღა და მისთვის ჩვეული სისადავით მეგობრულად გადამეხვია.

– წარმოიდგინეთ, ილია ჯერ არ დაბრუნებულა, – გვითხრა შეწუხებული ხმით. მერე მომიბრუნდა მე და ილიას დაგვიანების მიზეზის ასახსნელად სთქვა: – ილია კვირაობით ყოველთვის დათიკო სარაჯიშვილთან სადილობს. იქვე იკრიბებიან ის პირნი, რომელთაც ილიასთან საზოგადო საქმეზედ სალაპარაკო აქვთ რამე და ბაასის დროს ნელ-ნელა ღვინოს შეექცევიან, როგორც ჩვეულებრივ, დღესაც სადილი არ გაგრძელდეს, – სთქვა ოლღამ და გავიდა საჩქაროდ ოთახიდან.

პატარა ხანს უკან ლაზათიანად გამოწყობილმა მოახლემ ჩაი შემოგვიტანა და გვახარა, რომ „კნიაზი უკვე მობრძანდა“, თან ეშმაკურად ჩაიცინა და დაუმატა: „შექეიფებული ბრძანდება, თავის ოთახში შებრძანდა და ყელსახვევი შეიხსნაო“.

ჯერ ჩაის სმას არ შევდგომოდით, რომ ოთახში ხელიხელჩაკიდებული ილია და ოლღა შემოვიდნენ. ილიას საყელოგახსნილ პერანგზედ თავისი საყვარელი გარუსის ტუბა გადაეცვა. ოლღამ ხარხარით წარმოგვიდგინა ილია, რომელიც „გადაკრული კაცის ღიმილით ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა. მერე დაუყოვნებლივ დაეშვა ტახტზედ ორ კნეინას შუა, მიიწია მუთაქა-ბალიში, თავი მისდო და მიეძინა. ქალებმა სიცილი დაიწყეს. მე კი, ცოტა არ იყოს, ვიმრიზე. ეს ყველა კაცისთვის ჩვეულებრივი მოვლენა ილიასთვის მიუღებლად მივიჩნიე და მცხეთაში „მიგებების“ პროექტი, რასაკვირველია, შეუსრულებლად ჩვთვალე...

ჩაის მომტანი მოახლე ისევ შემოვიდა: ეტლები უკვე გეახლნენო. მე ფეხზე წამოვდექი და დაბალის ხმით მივმართე ილიას:

– განა მცხეთაში წასვლას კიდევ შესაძლებლად სთვლით?

ოლღამ სიცილით მიპასუხა:

– თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ილია რაც უნდა დაღლილი და ნაბახუსევი იყოს, თავის დროზე გამოიღვიძებს და წავალთ.

ჩაის სმას შევუდექით, დუმილი ჩამოვარდა. ჩემსავით ალბათ სხვანიც დარწმუნებული იყვნენ, რომ წასვლა აღარ მოგვიხდებოდა. მარტო ოლღა იყო დამშვიდებული, უჩუმრად შედიოდ-გამოდიოდა. შემოიტანა ილიას პალტო და ქუდი, თვითონ წამოსასხამი წამოისხა, თავზე ღამაზი ყვავილებით მორთული შლიაპა დაიხურა და ქალებს ანიშნა, რომ ისინიც მომზადებულიყვნენ. კნეინები ლეჩაქ-მოსახვევების გასწორებას შეუდგნენ, მაგრამ ნასვლის იმედი არავის ჰქონდა.

ილიამ თითქოს იგრძნო ჩვენი სულიერი განწყობილება და ისევე უცებ წამოდგა, როგორც უცებ მიიძინა. თვალებზე ხელი გადაისვა და წინანდელი ქეიფიანი ღიმილის მაგივრად, თავისებურად უხიაკად სთქვა:

– არა, არ დავიგვიანებთ, მე მხოლოდ 15 წამი მეძინა, – ჟილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო და შეამოწმა: – სწორედ 15 მეძინა! ათი წამი გვაქვს კიდევ, დროზედ მივალთ. ნაბრძანდით, ეკიპაჟში ჩაბრძანდით და მეც დაგეწევით.

პირველი კლასის კუპეში სწორედ მესამე ზარის დარეკის დროს შევედით. ილია ვერ იყო გუნებაზედ. თავისი განიერ კალთებიანი შლიაპა თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული და მკაცრად გამოიყურებოდა. დაიძრა თუ არა მატარებელი, ის კუპის კუთხეში მიჯდა, გვერდი ოთხს მანდილოსანს შემოგვაქცია, თავი სავარძლის ბალიშზედ დასდო და ისევ მიიძინა. ქალები კვლავ სიცილით შეხვდნენ ჩვენი კავალერის უხეშ საქციელს, მაგრამ არ განრისხებულან. როგორც შინაურებმა, უთუოდ იცოდნენ ილიას ჩვეულება და ხასიათი. ოლღამ სიცილით სთქვა: მაგრამ დიდის დაჭეშმარიტებით:

ილიას ყოველთვის იმდენი სძინავს, რამდენიც ესაჭიროება დასასვენებლად, და ხრონომეტრის სისწორით წამოდგება, – სარკესთან დადებული ქაღალდის პაკეტი გახსნა, რომელშიაც შავი სერთუკი, – ნარნარი პერანგი და ყელსახვევი აღმოჩნდა და ხელების შლით განაგრძო: – მცხეთამდე ჯერ კარგა მანძილია, ილია გამოძინებას მოასწრებს, ძალ-ღონეს მოიკრებს და ინგლისელ ქალს ჩვენთან ერთად თავისებურად მამაცად მიეგებება;

რესორებიანი ვაგონი ნელის რხევით ირყეოდა. მატარებლის მონოტონური გუგუნი, ილიას დამშვიდებული ფშვენა დამაძინებლად მოქმედებდა და ჩვენც გამოურკვეველმა ბურანმა შეგვიპყრო.

უცებ გაისმა მატარებლის გაგრძელებული წივილი მცხეთის სადგურის მიახლოებისას.

ილია თოფნაკრავივით წამოხტა, საჩქაროდ გაიხადა პალტო და რაწამს მობრუნდა, ოლღამ ქაღალდზედ გაშლილი მორთულობა მიაგება. ილიამ ოდნავი სიამოვნებით წარბი შეირხია, პაკეთი ჩამოართვა და საჩქაროდ საპირფარეშო ოთახში გავიდა. ჩვენც დავფაცურდით, გადასასვლელად მოვემზადეთ. ილიაც საჩქაროდ შემობრუნდა მორთული, გაბრწყინებული მთელის თავისის მიმზიდველობის ძლიერებით. მხოლოდ ერთის წამით ჩაჯდა, მაგიდაზე ხელი დააყრდნო, ოდნავ თავი დახარა და ღრმად ჩაფიქრდა, უთუოდ სტუმრის მისასალმებლად მოსამზადებლად.

მატარებელი ქშენით და შიშინით სადგურის ბაქანთან შეჩერდა.

ბათომის მატარებელი რამდენიმე წამით ადრე შეჩერებულიყო. ხალხი გაჩქარებული მიეშურებოდა ბუფეტისაკენ. ჩვენც გავეშურენით დარბაზისაკენ და ოთახის შუა ალაგას შევხვდით ოლივერ უორდროპს თავისი დით, არა მშვენიერებას, მაგრამ დიდის სიმპატიით აღსავსე, სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც დიდის სიწრფელით და სასიამოვნო ღიმილით მოგვეგება.

ილია, ჩვენი თანამგზავრი ილია, მხოლოდ წამის წინად ძილისგან გამოფხიზლებული, ეხლა ნამდვილი ინგლისელი ლორდ-მერის ღირსებით იდგა იმ ყმაწვილი ქალის წინ და თავისებურის დარბაისლობით აღჭურვილი მარგალიტივით აკინძულ მისასალმებელ სიტყვას მოახსენებდა. ის კი ვერ შევნიშნე, ხელზედ ეამბორა ნორჩ პოეტ ქალს, თუ აქაც თავისი მუდმივი უარყოფა გამოიჩინა ამ საზიზღარ ევროპულ ჩვეულებისადმი.

პირველი ზარი დაირეკა, ჩვენს გარშემო მოზღვავებული აუარებელი ხალხი შეინძრა და ტალღამ ჩამომაშორა ჩემ თანამგზავრებს. ჩემ საბედისწეროდ მატარებელში ჩასაჯდომად გაქცეულ ხალხში შევნიშნე ტასო თუმანიშვილი თავისი ძმით გიორგით და მათთან ერთად დავბრუნდი ქალაქში.

გზაზე გიორგის შევეკითხე ამგვარი გაზვიადებული შეხვედრის შესახებ ამ ქალისადმი, რომელმაც ჯერჯერობით მხოლოდ აღგვითქვა ეთარგმნა რუსთაველის უკვდავი პოემა. გიორგიმ ორაზროვანი ღიმილით მიპასუხა: „რასაკვირველია, აქ დიპლომატიას ლიტერატურაზედ არანაკლები ხლართები აქვს გაბმულიო“.

ამ გადაკრული სიტყვის მნიშვნელობა შემდეგ ოდნავ გამოირკვა ჩემთვის.

მცხეთაში ეს საგანგებო შეხვედრა მაჯორი უორდროპისათვის დაუვიწყარი გამხდარა და იგი უკვე კარგა ხნის შემდეგ ასეთ ბარათს უგზავნის ოლღას: „არასოდეს არ დავივიწყებთ ილია და ილიას ცოლი და და. როდესაც პირველად ვჭნახეთ მატარებელში, მცხეთაში. თორმეტი წელიწადია იმ წამში ყველა ჩამაჩნდი გულში და იქაც დარჩით სანამდის ცოცხალი ვიქნები“.

თავისი პირველი სტუმრობა მარჯორი უორდროპმა საინტერესოდ აღწერა თავის ხელნაწერ დღიურებში „შენიშვნები 1894-95 წ.წ. საქართველოში მოგზაურობის შესახებ“. მან მოიარა ბათუმი, თბილისი, ქუთაისი, გელათი, მოწამეთა, ნიგოითი, ჯუმათი, სუფსა, ოზურგეთი, შემოქმედი, – შემდეგ ისევ ბათუმი, საიდანაც სამშობლოში გაემგზავრა.

„... ეს იყო ჩემთვის ხილვა ქვეყნისა, რომელსაც ხშირად ვიხატავდი ჩემს გონებაში ღამის ჩვენებებსა თუ დღის ოცნებებში. მის შემდეგ რაც გამეღვიძა ინტერესი საქართველოს უძველესი სამეფოს, მის მშვენიერ სანახაობათა, მისი მამაცი და ღამაზი მკვიდრების, მისი მდიდარი ლიტერატურისა და, რაც ყველზედ მეტად მისი სევდიანი მაგრამ დიდებული ისტორიისადმი“.

„... საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანა იყო“... იგი გაოცებულია თბილისის ხილვით: „... თბილისი, სადაც სამი კვირა გავატარეთ, მომხიბლავი ქალაქია, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის დამახასიათებელი ნიშნებით“... „... საქართველოში მრავალი მწერალია, აქ თითქმის ყველა ადამიანი ბუნებით მელექსეა“...

იგი გვიხატავს მისი დროის სამ უდიდეს ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელს.

„... უამრავ ქართველ მწერალთა შორის თავად ილია ჭავჭავაძეს უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი არა მარტო პოეტია, არამედ ნოველისტიც, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი, ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი. მისი ლექსები ღირსშესანიშნავია აზრის დიდებულებითა და ენის სიდარბაისლით, მისი ნაწარმოებები ღრმა პატრიოტიზმით სუნთქავენ.

„თავადი აკაკი წერეთელი თანამედროვეთაგან ისევე ღრმად პატივცემული პოეტია, როგორც ილია ჭავჭავაძე. მისი მუზა უფრო მსუბუქია, მას მხიარულება უყვარს და თავის ძლიერ სატირას იყენებს აწმყოს გასაკრიტიკებლად. აკაკი თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის იღწვის და არაჩვეულებრივად პოპულარულია“.

„ინგლისელთა მხრივ უდიდესი ყურადღების ღირსია თავადი ივანე მაჩაბელი, როგორც ქექსპირის შესანიშნავი მოღვაწე. მან ქართულად თარგმნა შექსპირის რამდენიმე პოემა, რომლებმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა“.

მანვე მოგვცა აგრეთვე დაუვიწყარი სახე შესანიშნავი ქართველი სასულიერო მოღვაწისა და მქადაგებლის გაბრიელ ქიქოძე ეპისკოპოსისა: „იმერეთის ახლანდელი ეპისკოპოსი თუმც მთლად თმადათოვლილი მოხუცია, მაგრამ მისი ძლიერი გავლნა არასოდეს განქარდება. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი სტუმრობა გაბრიელ ეპისკოპოსთან. თავის სამუშაო ოთახში იჯდა, მნახველი გულდამშვიდებით ვერ შეხედავდა მისი მშვენიერი ცხოვრების დაისს“...

საქართველოში უორდროპებს ყველგან გულუხვ მასპინძლობას უწევდნენ. იგი ასე იგონებს ქართულ სტუმართმოყვარეობას: „ივერიელთა სტუმართმოყვარეობაში ეჭვი არასოდეს შეუტანია ვინმეს. მათი უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი ამბობს: „რასაცა დასთეს შენია, რაც არა, დაკარგულია“ და მის თანამემამულეებს არ უღალატნიათ ამ ნაანდერძევისთვის. ქართული გამოთქმა „სტუმარი ღვთისაა“ საყოველთაოდაა ცნობილი და სიძუნწე მართლაც უცხოა ქართველთათვის. ამ გულთბილ, უბრალო, წარმოსახვის დიდი უნარით დაჯილდოებული ხალხის სოციალური ცხოვრება ძალზე მიმზიდველია მათთვის. ვინც მიჩვეულია თანამედროვე ცხოვრების პირობითობას, ისეთს სასიამოვნო მყურდოებას, რომელსაც ჰპოვებ ზოგიერთ ქართულ სოფელში, ძნელად თუ შეხვდებით სადმე. აქ გლეხებსაც აქვთ თავისი კულტურა, დამყარებული თავის კლასიკოსთა საფუძვლიან ცოდნაზე“.

„ქართველებს უყვართ სტუმარი. სტუმრის პატივისცემა მათი ერთ-ერთი ღირსებათაგანია. გარდა უცხოელისადმი მათი ბუნებრივი სიყვარულისა, ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჩვენით, რადგან ჩვენ ქართული ენა შევისწავლეთ და მათ სანახავად მოვედით. გულითად და აღფრთოვანებულ შეხვედრებს გვიწყობდნენ ყველგან და ეს შეხვედრები გვინაზღაურებდნენ იმ დიდ ცდასა და მძიმე საათებს, რადგან მათი ენისა და რთული ქართული ზმნის შესწავლას მოვანდომეთ“.

ოლღა ჭავჭავაძისადმი გამოგზავნილ პირად ბარათში კი: – „ერთი დღე არასოდეს არ გავიდა, როდესაც მე არ მგონებდი თქვენზე და ვცხოვრობ იმ დროში, როდესაც კიდევ საქართველოში ვიყო“.

და კვლავ შედგა მისი ხელმეორე სტუმრობა ჩვენს სამშობლოში. 1896 წლის 16 ივნისს უორდროპების ოჯახი კვლავ თბილისშია. ჟურნალი „კვალი“ იუწყება: „ამ ჟამათ თბილისში გვეწვია ქალბატონი მარჯორი ვარდროპი თავისი ოჯახით: მამით, დედით და ძმით“.

თბილისიდან უორდროპები თელავს სწვევიან; ილია ჭავჭავაძემ თელავში მცხოვრებ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და პედაგოგს ივანე როსტომაშვილს წინასწარ გაუგზავნა წერილი:

„ძმაო ვანო!

ვამგზავრებ კახეთს სასიქადულო მეგობრებს და-ძმა უორდროპებს შენთან და

გაგრძელება მე-7 გვ. -ზე

დასაწყისი მე-6 გვ. -ზე

აბა შენ იცი, როგორ შენებურად დაათვალიერებინებ და გააცნობ ჩვენი მშვენიერი კახეთის ძველ ისტორიულ ნაშთებს, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებას, სანახაობას და სხვას“.

თელავის საზოგადოებრიობამ ვეებერთელა ისტორიული ჭადრის ქვეშ დიდი წვეულება გაუმართა სტუმრებს. ივანე როსტომაშვილის მეუღლე ელისაბედი იგონებს, რომ სტუმრებისთვის დაუთვალიერებინებიათ ერეკლე მეორის სასახლე, იყალთოს ყოფილი აკადემია, შუამთის მონასტერი, ალავერდი, დაუსწრიათ კახური ქორწილისთვის და განსაკუთრებულად ხაზს უსვამს, რომ მშვენიერი სანახავი იყო ნაზი, მომხიბლავი მარჯორი ქართულ სამოსში გამოწყობილიო.

თელავის შემდეგ ძვირფას სტუმრებს ღირსეულად დახვედრია სიღნაღი. ისევ „კვალის“ 1896 წლის 6 ივლისის კორესპონდენციას მოვიშველიებ: „...ამ თვის 6-ს თელავიდან ჩვენ გვესტუმრა ჩვენი ენა-ლიტერატურის მოყვარული ქალი მარჯორი უორდროპი თავისი ძმა-მშობლებითურთ. სიღნაღ-ქიზიყის ინტელიგენციამ დიდი პატივით მიიღო ძვირფასი სტუმრები. ქალაქის დათვალიერების შემდეგ სასურველი სტუმრები წაბრძანდნენ წმინდა ნინოს მონასტერში, ქვემო მაჩხაანში და ინახულეს ქიზიყის სახალხო დეპოც. სიღნაღის მაღალ მთის კორნოხის ბაღში, რომელიც ამაყათ გადაჰყურებს დიდებულ სურათს – ალაზნის ველს, ქ-ნ უორდროპის საპატივსაცემოთ იყო გამართული სადილი, რომელზედაც დაეწსრო მთელი სიღნაღის შეგნებული ქართველობა: ქალი და კაცი. სადილზე შესაფერი და საგულისხმო სიტყვები წარმოთქვეს შემდეგ პირებმა: მ. დეკანოზმა, ს. ბეგიაშვილმა, დ. მაჩხანელმა, ა. ხაინდრავამ, კ. მაღალაშვილმა, მ. ნასიძემ და სხვებმა. მომღერალთა გუნდი საქებრათ მღეროდა „თამარის დროშა გაშალეს“, „აღსდეგ გმირთა გმირო“, „ნუ გძინავს“, „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და ტკბილი დუდუკიც მწარე კვნესით ბანს აძლევდა იმათ ტკბილ-მწუხარე ხმას. საღამოზე გაიმართა ლეკური ცეკვა და ძვირფასი სტუმრები დიდათ ნასიამოვნები ქართველთა სტუმართმოყვარეობით და ქიზიყის შვენიერი ბუნების დიდებულებით, გამოემშვიდობნენ ყველა იქ მყოფთ“...

კახეთის შემდეგ სტუმრები გ. წერეთელს ყვირილის ხეობაში სოფ. ჭალაში მიუწვევია. ამ სტუმრობის შესახებაც ინფორმაციას ისევ „კვალი“ გვაწვდის: „ჩვენი მოკეთე და ქართველი ერის მოტრფიალე ქალბატონი მარჯორი ვარდროპი თავის ძველებური ზნე-ჩვეულებით, ხასიათით, კულტურული თვისებებით და პურ-მარილით“. დაბა საჩხერეს იმათ გაათიეს ერთი ღამე თ. ბეჟან წერეთლის ოჯახში... ისინი ჩქარობდნენ, რომ ოც მკათათვისათვის წვეოდნენ ილია ჭავჭავაძეს საგურამოს, და 1896 წლის 20 ივლისს „ილიაობა“ უორდროპებმა უკვე საგურამოში მიულოცეს დიდ ილიას.

ამ „ილიაობის“ შესახებ საინტერესო მოგონება შემოგვინახა თედო სახოკიამ.

„... ილია ჭავჭავაძე საგურამოში დიდის ამბით დაუხვდა ინგლისელ სტუმრებს. ილიაობას მისის დღეობის მოსალოცად მოსული ქართველი საზოგადოება ესწრაფვოდა თავისი პატივისცემა და სიყვარული განეცხადებინა იმ ადამიანისათვის, რომელსაც ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენთვის არ ეშურებოდა“...

საინტერესოა აგრეთვე ელისაბედ ჩერქეზიშვილის მოგონება: „... მაგონდება „ილიაობა“ საგურამოში. აუარებელი საზოგადოება იყრიდა თავს საგურამოში.... გლეხკაცობას უხვად უმასპინძლდებოდა ილია... საღვინით და ყანწით თავს ადგათ და მერიქიფეობას ეწეოდა. გლეხებიც მხიარულად, სიმღერით შეექცეოდნენ სადილს. ეზოში, დიდი კაკლის ქვეშ ცივი, ანკარა წყარო გამოჩხრიალდებოდა, იქვე მახლობლად ქვის მაგიდები იდგა და ზედ წარჩინებული მოღვაწენი სადილობდნენ. მათ შორის ინგლისელი ქალი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი მარჯორი უორდროპიც იყო თავის ძმითა და მამით“...

საგურამოს შემდეგი მარშრუტი იყო გორი, რომლის შესახებაც ისევ „კვალი“ იტყობინება: „... 25 ივლისს აქ გორში ჩამობრძანდა დიდად ჩვენ მიერ პატივსაცემი ქალბატონი მარჯორი ვარდროპი თავისი მამით, დედით და ძმით. აქ დაჰყვეს მხოლოდ ათ საათამდი. რკინის გზის სადგურზე, სხვათა შორის, ექვთიმე კოპლატაძემ ლექსიც უძღვნა. ლექსისთვის დიდად კმაყოფილი დარჩა მთელი ოჯახი და მადლობა გადაუხადა ავტორს. სადგურის ქართველობამ აღტაცებით გააცილა პატივცემული სტუმრები ქუთაისს“.

საქართველოში მეორედ მოგზაურობის შემდეგ მარჯორი უგზავნის წერილს ოლღა ჭავჭავაძეს; „ბევრჯერ ვჰფიქრობ საქართველოზე, ახლა უფრო კარგად გავიცანი ქართველის ხასიათი – მისი კეთილსულობა და ავობაც, და მომავალში იქმნება კიდევ მოვალთ და ვნახოთ... ჩვენი დედ-მამა და ძმა ძალიან ხშირად ლაპარაკობენ თქვენზე და საქართველოზე და სურვილი აქვთ მეორეჯელ თქვენი მშვენიერი ქვეყნის ნახვას“.

უამრავ წერილებში, რომლებსაც იგი თავის მეგობრებს უგზავნიდა, იგი საქართველოს ხელახლა ნახვის სურვილს გამოთქვამს:

„ამ ზაფხულდ მეშინიან, რომ ვერ მოვდივარ საქართველოში... ნეტა განახოთ მომავალში“...

„ნეტა თუ ერთხელ კიდევ მოვდივარ საქართველოში!

ვითა სამშობლო საყვარელი არის!“

მრცხვენიან, რომ აქამდის უფრო კარგათ ვერ შევისწავლე თქვენი მშვენიერი ენა, ჩემი პირიანი სურვილია, რომ ოდესმე მოვალ საქართველოში და ძირიანათ გავიცნობ მისს მშვენიერებას, მის ენას და ხალხსაც“.

რაოდენ დასანანია, მან ვეღარ შესძლო სტუმრებოდა ჩვენს სამშობლოს. 1909 წლის 5 დეკემბერს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა სამწუხარო ინფორმაცია, მარჯორი უორდროპის გარდაცვალების შესახებ;

„ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტი ვარლამ ჩერქეზიშვილი წერდა: „ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ლიტერატურას დიდი მწუხარება ეწვია... განსვენებულის სიკვდილით საქართველომ დაჰკარგა დიდი მცოდნე ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურისა, და ამასთნ არ გავაზვიადებ თუ ვიტყვი, რომ განსვენებული სცოცხლობდა ჩვენის ქვეყნის სიხარულით და ვარამით“...

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა მიხაკო წერეთელმა საგანგებო წერილი მიუძღვნა მარჯორი უორდროპს: „...საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო და დიდბუნებოვანო ადამიანო... ნამდვილი და ერთგული მეგობარი დაჰკარგა ჩვენმა ქვეყანამ. ღირსიც არის, რომ ყველა ქართველის გულში ჩაინერგოს მისი სიყვარულით ხსენება და მადლობით მოგონება“.

ამ ჩვენთვის მეტად ძვირფასი და მშვენიერი ქალის გარდაცვალებას აკაკი წერეთელი ლექსით გამოეხმაურა.

„... შეუწონა აწმყო წარსულს
და გვიქადა მომავალი...
გვითხრა: ტყვილა გულს ნუ იტეხთ!
თქვენგან მე ბევრს გამოველი,
არ მოკვდება ის ერი, ვინც
წარმოშვა რუსთაველი“...

ილიას ქვრივი, ავადმყოფი ოლღა გურამიშვილი მწუხარებით სავსე სამძიმრის წერილს უგზავნის მარჯორის ძმას – ოლივერ უორდროპს:

4/17 დეკემბერი 1909 წელი, ტფილისი.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

გამოუთქმელია ის ტკივილი, რომელსაც განვიცდი ჩვენი ძვირფასი მეგობრის – მარჯორის გარდაცვალების გამო...

... ო, ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა იმის ფიქრი, რომ აღარ არის ასეთი ერთგული და ღირსეული მეგობარი, რომ ამ დიდებულმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა. რა გულით მანუგეშებდა იგი ჩემი საცოდავი მეუღლის დაღუპვის გამო! სულმნათი მარჯორის წერილები მამხნევებდა და მე მათ ისე ვინახავ, როგორც ძვირფას განძს.

ძვირფასო ბატონო ოლივერ! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა თქვენი მეგობარი საქართველოში დამწუხრებულია თქვენი მძიმე დანაკლისის გამო და საწყალ მარჯორიზე საუკეთესო გრძნობები დიდხანს დარჩება მათ გულში!

ძვირფასო ბატონო ოლივერ! უმორჩილესად გთხოვთ, კეთილი ინებოთ და გამომიგზავნოთ ჩემი ძვირფასი სათნოებით სავსე მარჯორის სურათი და ნუ გაწყვეტთ ჩვენს მეგობრობას. ანუგეშეთ თქვენი ძვირფასი დედა და ძმა.

დარმუნებული იყავით, რომ თქვენი მწუხარება ჩემი მწუხარებაცაა და ნუ დაივიწყებთ თქვენს ძველ მეგობარს.

ლიანა ავაზაშვილი,
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მცველი

მანანა ხატიაშვილის ხსოვნას

ჩემო თვალხატულა მანანა, მაპატიე, რომ ვერ მოვედი შენთან, ვერ მოგიტანე ლურჯთვალა იები, ვერ დაგიტირე და ჩემი ცრემლები ვერ გაგატანე საგზლად. მე სადაც ვარ, აქ დავტირი ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობას, რომლის ერთ-ერთი ულამაზესი ფურცელი შენ იყავი. ჩემი მშობლების პირველი შვილიშვილი გიგა პაპას დიდ ოჯახში იზრდებოდი, შენ იყავი ჩვენი სიცოცხლე და ბედნიერება.

მერე რა მოხდა?.. მანძილის სიშორე არაფერს ნიშნავს. ვინც გიყვარს, ის ყოველთვის არის შენს ფიქრებსა და ოცნებებში.

ამბობენ: ვინც მოკვდა, თავს მოუკვდაო, – ვფიქრობ, ეს სიმართლე არ არის. დედაშენის წასვლამ ამქვეყნიდან მოურჩენელი იარა გამიჩინა გულში. 46 წლის თამილას ულამაზესი სიცოცხლე ნაადრევად ჩაქრა. მერე მას მიჰყვნენ: შენი საყვარელი მამა, 60 წლის შენი ბიძა ჯაში, რომელიც შუასაუკუნეების რაინდს წაგავდა, 65 წლის უკეთილშობილესი ჩემი მეუღლე, ძმასთან გაიგივებული ჩემი მაზლი – გივი, რომელიც 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. ასე, რომ, ბედგამწარებული მშობლებისა და ახლობლებისათვის საფიქრებლადაც აღარ მომაცლევინეს.

სწრაფად გაფრინდა დრო, რომელიც ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ კუპრის ფერი იყო. არ მეგონა კიდევ თუ გავმწარდებოდი. შენ ჩემს აბღავლებულ მოგონებად იქეცი. მართალია, ვერ შევძლებ შენთან მოსვლას, მაგრამ აქ, ილიას ნააკვნარში, ყველაფერს გავაკეთებ შენი ლამაზი სულის სიმშვიდისათვის. სწორედ ყვარელში გაირბინა შენმა ულამაზესმა ბავშვობამ.

გულს ყველაფერი ახსოვს, ახსოვს და ცდილობს ამეტყველებას, მაგრამ კალამსაც უჭირს პწკალის გავლება, ამოუცნობი ტკივილი წრიალებს მის წვერზე, ტკივილი, რომელიც მიყურადებია სულის მარტოობას. შენ საკუთარი თავისთვის არასოდეს გიცხოვრია. სკოლის მერხიდან გაიპარე და ნაადრევად დაიდგი ოჯახის მძიმე უღელი. დარწმუნებული ვარ, დედის მსგავსად მუდამ სხვების სიამოვნებაზე ფიქრობდი და საკუთარ თავს ივიწყებდი. საოცარი დიასახლისი, ერთგული მეუღლე და საუკეთესო დედა – ბებია იყავი. უფალს ვთხოვ, დაგიფასდეს ეგ თავგანწირვა და უბედნიერესი იყოს შენი ოთხი შვილი თავიანთ ოჯახებთან ერთად, მაგრამ მათ დედა ახლა უფრო მეტად სჭირდებათ, თანაც, რა პირით უნდა შეხვდე დედას იქ, სამუდამო სასუფეველში, მას ხომ საოცარი სიყვარულით უყვარდით შვილები. იგი, საკუთარი ტკივილის მიუხედავად, სხვათა მანუგეშებელი და საიმედო საყრდენი იყო. უშურველად გასცემდა სიკეთეს და უკუგებაზე არასოდეს ფიქრობდა. ის უფლისგან მოვლენილი იყო იმისათვის, რომ სხვებისთვის ეჩვენებინა, რა არის ადამიანის მოვალეობა, მას შეეძლო დავრდომილის აღდგენა, უნუგეშოსთვის ნუგეშის მიცემა, მტირალისთვის ცრემლის მოწმენდა.

ჩემო მანანა, შენც დედის მსგავსი იყავი და ალბათ ამიტომაც იჩქარე მასთან წასვლა. ძნელია შეგუება იმ აზრთან, რომ შენს შვილებს აღარ ეყოლებათ მზრუნველი დედა. ალბათ ასე ინება არსთა გამრიგემ, ალბათ ესეც უფლის ნება იყო, რომ სწორედ წელიწადის უმშვენიერეს თვეში გაემგზავრე დედასთან გაზაფხულის მისალოცად. მარტი ისედაც მძიმედ მოსაგონებელია ჩემთვის, შენ სევდა და დარდი გამიათკეცე. ახლა აპრილია, შენი დაბადების თვე. ყველაფერი აყვავდა და იმძლავრა სიცოცხლის სურვილმა. შენ კი 62 – ე გაზაფხულს ვეღარ დაესწარი. წახვედი და დაგვიტოვე ტკბილ-მწარე მოგონებები. მეტი რაღა დაგვრჩენია ჩვენ, გარდა იმისა, რომ ვილოცოთ შენი სულისათვის და ზოგჯერ მაინც დაგინანდილოთ მცირე ხორბალი მართალი სულის გადასარჩენად.

ჩემო მანანა, შენთან ერთად ბევრმა მატკინა გული, მაგრამ ვერასოდეს შევძელი კალამი ამეღო ხელში და მოვფერებოდი ჩემს წასულებს. ეს შენ შემაძლებინე. მინდა გითხრათ, რომ

თქვენთვის კვლავ გული მიძგერს,
მე მაპატიეთ თუ კი
ვერ გიპატრონეთ ისე...
ვეღარ ჩაგჭიდეთ ხელი,
მძლავრმა ტკივილმა გძლიათ,
ჩემს თავზე ვიღებ ცოდვას,
გულის კარი მაქვს ღია.
ღელვით ვიხსენებ წარსულს,
ხილვა მომწყურდა თქვენი,
რაც თქვენ წახვედით ჩემგან,
გაუფერულდა დღენი.
დამაგვიანდა მეთქვა,
როგორ მიყვარდით მუდამ,
როცა გიხსენებთ სნეულთ
ახლაც ჩხვლეტას ვგრძნობ გულთან.
კვლავ ვეფერები იმ წლებს,
თქვენს სიდიადეს ვუმზერ,
თქვენ გამიჩინეთ ბზარი,
ოხ, გული რამდენს უძლებს.
არასდროს იკარგება
ძლიერი გრძნობის ხიბლი,
მოგონებები ტკბილი
და მონატრება დიდი.
ჩემო ძვირფასნო, ჩემო კარგებო,
თქვენთვის კვლავ გული მიძგერს
და მაპატიეთ, თუ კი
ვერ მოგეფერეთ ისე...

დეიდა ზეინაბი

ზაირა და ლელა ვარდიაშვილების ხსოვნას

ჩემო ზაირა, ჩემო ლელა, ვაი, რა დრო გავიდა შვილებო, ჩვენი განშორებიდან, რა ტკივილიანი და იარებიანი. ამბობენ დრო მკურნალიაო, არა შვილებო, 16 წელი ზაირასია, 13 – შენი, ჩემო ატმის ყვავილო. წელთა სიმრავლეომ უფრო მომანატრა თქვენი თავი. თქვენ ის ტკივილი ხართ, წლებთან ერთად რომ იზრდებით. დედას, რომელსაც დედის ერთა შვილი მოუკვდება და იმედად დარჩენილი ერთი შვილიშვილი, რა დრო განკურნავს განადგურებული დედის გულს. ასაკი მომემატა, ეხლა მჭირდებით, მაგრამ საყვედურს ვერ გეტყვით. თქვენც ხომ გინდოდათ სიცოცხლე, მზის ყურება, მაგრამ უკურნებელმა სენმა დედა-შვილიც დაგაშორათ ერთმანეთს და მეც დამიბნელდა წუთისოფელი. შენი სიტყვები ყურებში მაქვს დარჩენილი – „მაპატიე ბაბო, რომ გტოვებო“. ვიცი თქვენს საწუხარს ჩემი დარდიც მიემატა, მაგრამ სიკვდილთან რა შეგვეძლო, უძლურნი ვართ.

გაზაფხულია შვილო, აპრილის თვე, რომელმაც შენი თავი გვაჩუქა. 21 აპრილიც მოვიდა, შენი დაბადების თარიღი – უშენოდ, ტკივილიანი, სევდიანი. მოვალთ შვილო, საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს და შევთხოვთ უფალს გაგინათოთ სამყოფელი, ნათელი არ მოგაკლოთ არც ერთს.

თქვენი უბედური
ნანი ბაბო

შვილები: ბესიკი, ლია, მზია ონოფრიშვილები; რძლები: თინათინ სირაძე, ნათია გაგნიძე, თამთა ნიკოლაძე; სიძეები: არსენ ფირანიშვილი, ილია კუწიაშვილი; შვილიშვილები: ჯემალი, ლევანი, ოთარი, ილია, დავითი, ბიძინა; ძმისშვილები მარინა და ვანო მამულაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნაზი ივანეს ასული მამულაშვილი

დაკრძალვა: 13.04. ყვარელში.

კობა ბურკიაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს ბიძაშვილებს ბესო, ლია, მზია ონოფრიშვილებს დედის ნაზიკო მამულაშვილის გარდაცვალების გამო.

დაღესტანში VI საუკუნით დათარიღებული, ქართული ასომთავრულით დაწერილი ბიბლია აღმოაჩინეს

დაღესტანში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალისტებმა, ისტორიული დოკუმენტების ციფრული ვერსიის შექმნისას, VI საუკუნით დათარიღებული, ხელნაწერი ბიბლია აღმოაჩინეს. ბიბლია ქართულად, ასომთავრული დამწერლობითაა შესრულებული.

მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში არ აქცევდნენ ყურადღებას იმ ადგილს, სადაც უძველესი ხელნაწერი ბიბლია იყო მოთავსებული, თუმცა XI საუკუნეში შექმნილი არაბი სუფიების სწავლებათა ტექსტის ქვემოთ, მეცნიერებმა უფრო ძველი ხელნაწერი აღმოაჩინეს, რომელიც რთულად შესამჩნევი იყო.

„ჩვეულებრივ, ხელნაწერთა დათარიღებას ჩვენ დოკუმენტზე, უფრო ზუსტად კი ქაღალდზე და ნაწერზე, დამწერლობის სტილზე დაკვირვებით ვაკეთებთ. დაკვირვებისას აღმოვაჩნე, რომ ეს ქაღალდი, რომელსაც ვაკვირდებოდი, სრულიად განსხვავებული იყო და არ ჰგავდა არც ერთ იმ ხელნაწერს, რომელსაც 20 წლის განმავლობაში შევხვედრივარ. ის სხვა სტრუქტურისაა“, – განაცხადა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლური კვლევების განყოფილების თანამშრომელმა.

როგორც მეცნიერი შამილ შიხ(ჰ)ალიევი ამბობს, არაბულ ტექსტებს შორის ქართული წარწერებია. მოგვიანებით მეცნიერმა აღმოაჩნა, რომ მის ხელში პალიმფსესტური ხელნაწერი აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, ქართული ტექსტების შემცველი პალიმფსესტური, ანუ ეტრატის გადარეცხვის შემდეგ საწერად ხელმეორედ გამოყენებული ფურცლები, ინახება როგორც საქართველოში, ასევე ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ოქსფორდში, კემბრიჯში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკასა და სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში. მეცნიერთა თქმით, ძირითადად მათი ქვედა ტექსტები V-VIII საუკუნეებით თარიღდება და შეიცავს ფრაგმენტებს ძველი და ახალი აღთქმიდან, მოციქულთა აქტებიდან, აპოკრიფული, ჰომილეტიკური და აგიოგრაფიული თხზულებებიდან.

ასომთავრული დამწერლობით შესრულებული ბიბლია, რომელიც VI საუკუნით თარიღდება, დაღესტანში აღმოჩენილ ხელნაწერთა შორის უძველესია. ხელნაწერი ბიბლია დაღესტნის მთებში ტაძარში, სხვა უძველეს ქართულ ხელნაწერებთან ერთად დაიდებს ბინას.

მეცნიერთა თქმით, წიგნი, ნომრით 1012, საბჭოთა კავშირის დროს დაღესტნის რაიონის სოფელ უბრადან ინსტიტუტში მიიტანეს. ხელნაწერის ციფრული ვერსია უკვე გაკეთებულია და სულ მალე ის ვებგვერდზე ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

შვილები: ბესიკი, ლია, მზია ონოფრიშვილები; რძლები: თინათინ სირაძე, ნათია გაგნიძე, თამთა ნიკოლაძე; სიძეები: არსენ ფირანიშვილი, ილია კუწიაშვილი; შვილიშვილები: ჯემალი, ლევანი, ოთარი, ილია, დავითი, ბიძინა; ძმისშვილები მარინა და ვანო მამულაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნაზი ივანეს ასული მამულაშვილი
დაკრძალვა: 13.04. ყვარელში.

კობა ბურკიაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს ბიძაშვილებს ბესო, ლია, მზია ონოფრიშვილებს დედის ნაზიკო მამულაშვილის გარდაცვალების გამო.

მეცნიერებმა 7 პროდუქტი დაასახელეს, რომელიც სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებს

უახლესი სამედიცინო კვლევების თანახმად, სტატიაში წარმოდგენილი 7 პროდუქტი განსაკუთრებით სასარგებლოა ონკოლოგიური დაავადებების დროს, რამდენადაც ხელს უშლის სიმსივნური უჯრედების განვითარებას.

მათი გამოყენება უმჯობესია პროფილაქტიკისთვის, თუმცა, არსებობს ასევე მონაცემები, რომლის თანახმადაც რიგ შემთხვევებში აღნიშნული პროდუქტები ქიმიოთერაპიაზე უკეთესად მოქმედებს. ესენია: კურკუმა, მწვანე ჩაი, შავი შოკოლადი, ჟოლო, მოცვი, პომიდორი, წითელი ღვინო.

სისხლძარღვების განვითარების ნორმალურ პროცესს ანგიოგენეზი ეწოდება. ცხოვრების ზოგიერთ პერიოდში (მაგალითად, ახალშობილებში) ანგიოგენეზი უფრო აქტიურად მოქმედებს.

ასაკთან ერთად მისი აქტივაცია საგრძნობლად ნელდება, თუ არ ჩავთვლით იმ განსაკუთრებულ შემთხვევებს, როგორიცაა ჭრილობების დროს ქსოვილებისა და კაპილარების აღდგენა. ჩვეულებრივ ეს პროცესი მოლეკულა-აქტივატორების და ინჰიბიტორების მეშვეობით იმართება. მთლიანობაში ეს უკანასკნელი უფრო დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ანგიოგენეზის აქტივატორები ხელს უწყობს სისხლძარღვების უჯრედების ზრდას, რომელიც აუცილებელია ახალი სისხლძარღვების ფორმირებისთვის.

როდესაც სრულ განვითარებას მიაღწევს, კიბოს უჯრედები ჩვეულებრივ ანგიოგენეზის აქტივატორს ისვრის ორგანიზმში, რადგან მას უფრო მეტი სისხლძარღვი სჭირდება საკვები ნივთიერების მოსამარაგებლად.

თანამედროვე მედიცინამ, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, დაიწყო ისეთი პრეპარატების წარმოება, რომელსაც ანგიოგენეზის ინჰიბიტორებს უწოდებენ. მისი ძირითადი განსხვავება ქიმიოთერაპიისგან იმაში მდგომარეობს, რომ ის კი არ ანადგურებს კიბოს უჯრედებს, არამედ ხელს უშლის სისხლძარღვების წარმოქმნას, რომელიც სისმსივნეს კვებავს.

ქვემოთ აღწერილი 7 პროდუქტი ძლიერ ანტიანგიოგენურ თვისებებს ფლობს, რომელიც სიმსივნური უჯრედებისთვის სისხლის მიწოდებას აფერხებს. ამიტომაც მეცნიერები გვირჩევენ მივიღოთ ეს პროდუქტები, რითაც შევძლებთ ანგიოგენეზის მართვას და ხელს შევუშლით ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედების წარმოქმნასა და განვითარებას.

წითელი ღვინო

წითელი ღვინოში შედის მნიშვნელოვანი ნივთიერება რესვერატროლი – ძლიერი ანტიოქსიდანტი, რომელსაც ყურძნის მარცვლის კანი შეიცავს. ბევრი კვლევა ამტკიცებს, რომ რესვერატროლი ანადგურებს ბაქტერიებს, ვირუსებსა და სოკოებს. თუმცა, ამ საოცარი ნივთიერების სასარგებლო თვისებების ჩამონათვალი ამით არ სრულდება! ის ზრდის გლუკოზასადმი ტოლერანტულობას დიაბეტის დროს, აუმჯობესებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, სპობს სახიფათო თავისუფალ რადიკალებს, ხელს უწყობს გულის მუშაობას და ხელს უშლის უჯრედების დაშლას რადიოაქტიური დასხივების დროს.

ამასთან, წითელი ღვინო შეიცავს ბევრ კარდიოპროტექტორულ ნაერთს. რესვერატროლი და პოლიფენოლი ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და ხელს უშლის თრომბების ფორმირებას. ამას გარდა, არსებობს უტყუარი მკიცებულება იმისა, რომ წითელი ღვინის რეგულარული მიღება მცირე დოზით (დღეში 1 ჭიქა), ეხმარება ეგრეთ წოდებული კარგი ქოლესტერინის დონის ზრდას, რომელიც იცავს ჩვენს გულს და სისხლძარღვებს დაზიანებისგან.

რესვერატროლის დღიური რეკომენდირებული დოზა – 200-600 მკგ. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ 225 მლ. წითელი ღვინო 640 მკგ. რესვერატროლს შეიცავს. ასე რომ, თქვენთვის მისაღები ნორმაა – დღეში 100 მლ. ღვინო.

კურკუმა

კურკუმა ძირითადად ინდურ კულინარიასთან არის დაკავშირებული. მოამზადეთ კერი (თევზის ან ხორცის ცხარე სანელები) იმ პროდუქტებისგან რომელიც გაქვთ – ბოსტნეული, ხორცი, თევზი, კვერცხი ან ოსპი და დაუმატეთ ერთი დიდი კოვზი კურკუმა სხვა ისეთ სანელებლებთან ერთად, როგორიცაა კვლიავი, ქინძი, კოჭა და ნიორი. დაუმატეთ სუპებში, ჩაშუშულ კერძებში, ბრინჯის პლოვში. არაჩვეულებრივ გემოსთან ერთად, კერძებს კაშკაშა ყვითელ ფერს მისცემს.

ბოლო გამოკვლევების თანახმად კურკუმა ხელს უშლის სიმსივნის განვითარებას. ინ ვიტრო-ს ტესტები ადასტურებს, რომ 80% ავთვისებიანი პროსტატის კიბოს უჯრედები განადგურდა ამ არაჩვეულებრივი სანელებლის ზემოქმედების ქვეშ.

მოცვი და ჟოლო

ორივე მათგანი საოცრად ეფექტური საშუალებაა სიმსივნური დაავადებების პროფილაქტიკისთვის. გარდა ამისა, აჩერებს ანგიოგენეზსა და აქვეითებს ოქსიდაციურ სტრესს. ამასთან, ხელს უშლის ორგანიზმში უჯრედების დაბერებას, იმიტომ რომ უამრავ ვიტამინს შეიცავს – ძალიან სასარგებლო პროდუქტია სისხლძარღვების გასამაგრებლად. მდიდარია კალიუმით, რომელიც სწრაფად გამოდევნის დაგროვილ სითხეს ორგანიზმიდან. მაგნიუმი კენკრაში ამცირებს ათეროსკლეროზის რისკს, აფართოვებს სისხლძარღვების კედლებს, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას.

პომიდორი

ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ თუ პომიდვრით ან პომიდვრის სოუსით მომზადებულ კერძებს თვეში 4-ჯერ მაინც მიიღებთ, ეს ორჯერ შეამცირებს პროსტატის კიბოს წარმოქმნის რისკს. პომიდორი მდიდარია ლიკოპინით, რომელიც ანტიანგიოგენურ თვისებებს ფლობს. ის მარტივად იშლება ცხიმში და ასევე მარტივად ხდება მისი შეთვისება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიერ.

შავი შოკოლადი

კიბოსთან ბრძოლა არ ნიშნავს საერთოდ უარი ვთქვათ ტკბილეულზე. განსაკუთრებით კი შავ შოკოლადზე: ის აძლიერებს გულის მუშაობას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ებრძვის ავთვისებიანი უჯრედების წარმოქმნას. ასევე აღსანიშნავია მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული დასკვნა, რომლის თანახმადაც შავი შოკოლადის დაახლოებით 60 ჰორმონი ხელს უშლის არტერიების შევიწროვებასა და დახშობას. აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციასა და ხელს უშლის თრომბების წარმოქმნის ალბათობას. გარდა ამისა კოფეინი და თეობრომინი, რომელთაც ეს მწარე ნუგბარი შეიცავს, ადამიანის შრომისუნარიანობისა და შემოქმედებითი აქტივობის სტიმულირებას ახდენენ. ბრიტანელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ თეობრომინი ხველების გაცილებით ეფექტური წამალია, ვიდრე ჩვეულებრივი ტრადიციული საშუალებები.

მწვანე ჩაი

მდიდარია ანტიოქსიდანტებით, რომელიც იცავს ანთებითი პროცესებისგან, ხელს უშლის თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას, იცავს ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან. ანტიოქსიდანტები ასევე შავი ჩაის შემადგენლობაშიც შედის, თუმცა, მწვანე ჩაიში უფრო ეფექტურია მისი მოქმედების უნარი, რაც დამტკიცდა ბოლო დროს ჩატარებული მთელი რიგი კვლევების მიერ.

არაჩვეულებრივად ებრძვის ოსტეოპოროზს, რომელიც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს მენოპაუზას და სხვა ძვალ-სახსროვან დაავადებებს. სავარაუდოდ, ამისთვის მადლობა პოლიფენოლებს უნდა ვუთხრათ, ნივთიერებები, რომლებიც 25-ჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე ვიტამინი C, იცავენ უჯრედის გენეტიკურ ნივთიერებას დაზიანებისაგან. ამას გარდა, ჩაი ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და არეგულირებს არტერიულ წნევას, ხელს უწყობს თრომბების გაწოვას, აძლიერებს იმუნიტეტს, კურნავს ზოგიერთ ალერგიულ ფორმას და ამცირებს სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკს.

ყავა

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ის ანტიოქსიდანტები რომლებსაც ყავა შეიცავს, ხელს უშლის II ტიპის დიაბეტისა და სიმსივნური დაავადებების განვითარებას. ყავა ასევე ეხმარება სტრესთან გამკლავებაში, ტვინის სასუნთქი ცენტრის სტიმულირებას ახდენს, რითაც ასთმიანებს დახმარებას უწევს შეტევების დროს, ორგანიზმიდან დევნის ქოლესტერინს. ყავაში თავმოყრილია ბევრი სასარგებლო ნივთიერება: ნახშირწყლები, ცხიმები, ცილოვანი ბუნების ნაერთები, რიგი სიცოცხლისათვის აუცილებელი მინერალები და მიკროელემენტები. ასევე, მიუხედავად უამრავი მითისა ამ საკითხთან დაკავშირებით, ყავა წარმოადგენს პროდუქტს, რომელსაც სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. მთელი რიგი კვლევების თანახმად, ინფარქტისა და ინსულტის რისკები 20% – 40% მცირდება ამ სასმელის რეგულარულად მიღების შემთხვევაში ზომიერების ფარგლებში.

intermedia.ge

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86